HEINRICH BÖLL STIFTUNG
თბილისი
სამხრეთ კავკასია

# საქართველოში დაბრუნებული ემიგრანტი ქალების ანაზღაურებადი და აუნაზღაურებელი შრომა

მერი ჩაჩავა

# საქართველოში დაბრუნებული ემიგრანტი ქალების ანაზღაურებადი და აუნაზღაურებელი შრომა

**ავტორი: მერი ჩაჩავა**

**კვლევის ხელმძღვანელი: მაია ბარქაია**

კვლევა განხორციელდა ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის
თბილისის ოფისის-სამხრეთ კავკასიის რეგიონი მხარდაჭერით.
კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ გამოხატავდეს
ფონდის შეხედულებებს.

# აბსტრაქტი


პოსტსაბჭოთა საქართველოში შრომითი მიგრაციის ტალღის საწყის ეტაპზე საგრძნობლად მაღალი იყო მამაკაცების მიგრაცია, 2010 წლიდან კი, საქართველოში ჩატარებული კვლევები აქტიურად მიუთითებენ მიგრაციის ფემინიზაციის ტენდენციაზე, რომელიც არა მხოლოდ მიგრაციულ ნაკადებში ქალი ემიგრანტების გაზრდილ რაოდენობას ასახავს, არამედ წარმოაჩენს ქალებს, როგორც დამოუკიდებელ აქტორებს მიგრაციის პროცესში.

წინამდებარე კვლევის მიზანია, შეისწავლოს, თუ როგორ აისახება შრომითი მიგრაციის გამოცდილება საქართველოში დაბრუნებული ემიგრანტი ქალების აუნაზღაურებელ საშინაო შრომასა და ანაზღაურებად შრომით ურთიერთობებზე. თვისებრივი მეთოდის გამოყენებით, ეს კვლევა ფემინისტური პერსპექტივებიდან წარმოაჩენს ემიგრანტი ქალის სოციალურ როლს, რომელიც სტრუქტურულად გამჯდარი ნორმებისა და პასუხისმგებლობების ფონზე მოქმედებს.

კვლევამ გამოააშკარავა შრომითი მიგრაციის შეზღუდული რესურსები ქალების გაძლიერების პროცესში და აჩვენა, რომ ემიგრაციაში წასვლის გადაწყვეტილება არ არის ცალსახად თავისუფალი არჩევანი, არამედ ეს არის სტრუქტურულად გამოუვალ მოცემულობაში, ოჯახის ეკონომიკური გადარჩენის მიზნით მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც ემიგრანტი ქალებისგან გარკვეულ მსხვერპლს მოითხოვს. ემიგრაციის შედეგად ქალებს ნამდვილად ჰქონდათ დათვლადი მიღწევები, რომლებმაც, რა თქმა უნდა, კონკრეტულ ოჯახებში შეამცირა სიღარიბის დონე, მაგრამ ვერ უზრუნველყო ამ ოჯახების და, განსაკუთრებით, თავად ემიგრანტი ქალების მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება.

კვლევაში მონაწილე დაბრუნებულ ემიგრანტ ქალებს აღმოაჩნდათ ადაპტირებადი აგენტობა, რაც გულისხმობს იმას, რომ მათი გადაწყვეტილებები მიგრაციის სრული ციკლის განმავლობაში გენდერულად განსაზღვრული და ნაკარნახევი იყო მზრუნველის როლით. ზრუნვის შრომის როგორც ეკონომიკური, ასევე სოციალური ღირებულების მიუხედავად, კვლევა აჩვენებს, რომ ემიგრაციის შედეგად საშინაო შრომის კომოდიფიკაცია არ აისახა დაბრუნებული ემიგრანტი ქალების ოჯახებში საშინაო შრომის განაწილებაზე და არ აღმოჩნდა საკმარისი ზრუნვის შრომის გენდერული და ეკონომიკური ღირებულების გადასააზრებლად.

# სარჩევი


ABSTRACT 3

1. შესავალი 5

2. კვლევის მიზანი და ამოცანები 7

3. მეთოდოლოგია 8

4. ლიტერატურის მიმოხილვა 10

4.1 ანაზღაურებადი და აუნაზღაურებელი შრომის გენდერული ასპექტები 10

4.1.1 ანაზღაურებადი შრომა 10

4.1.2 აუნაზღაურებელი შრომა 12

4.2 შრომითი მიგრაცია და გენდერი 13

4.3 შრომითი მიგრაციის შედეგები 14

4.3.1 გაძლიერება 15

4.3.2 გაძლიერების შეფასება 16

5. მონაცემთა ანალიზი 18

5.1 ემიგრანტი ქალის როლი, სტატუსი და პასუხისმგებლობები 18

5.2 მიგრაცია და მისი შედეგები 21

5.2.1 რესურსები 21

5.2.2 აგენტობა და მიღწევები 22

5.3 დაბრუნება 23

5.3.1 ოჯახი 23

5.3.2 დასაქმება 25

6. დასკვნა 27

ბიბლიოგრაფია 29

# 1. შესავალი

XX საუკუნის 80-იან წლებამდე, საერთაშორისო შრომით მიგრაციაში ქალის როლი ძირითადად უხილავი ან ეკონომიკური თვალსაზრისით უმნიშვნელოდ იყო შეფასებული. ამ პერიოდის სამეცნიერო ლიტერატურაში, ქალი ძირითადად წარმოჩენილი იყო, როგორც დამოკიდებული პირი – მიგრანტი კაცის ცოლი, დედა ან შვილი (Buijis, 1993; Zlotnik, 1993; UN-INSTRAW, 2007). შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (2015) მონაცემებით, შინამოსამსახურეობის სერვისებში დასაქმებული ყოველი მეხუთე ქალი არის შრომითი მიგრანტი. მიგრაციულ ნაკადებში ემიგრანტი ქალების გაზრდილი რაოდენობა, ლიტერატურაში განსაზღვრულია, როგორც „შრომითი მიგრაციის ფემინიზაცია," რომელიც არა მარტო ემიგრანტი ქალების სტატისტიკურად გაზრდილ რაოდენობას ასახავს, არამედ მათ მიგრაციის პროცესში დამოუკიდებელ სუბიექტებად წარმოაჩენს. ქალთა შრომითი მიგრაცია ძირითადად არარეგულარულია1 და ხასიათდება მძიმე და დაბალანაზღაურებად სამუშაოზე დასაქმებით, რომელსაც თან სდევს დისკრიმინაცია, ექსპლუატაცია, ძალადობა და ფუნდამენტური უფლებების დარღვევა (ILO, 2016).

ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, საქართველოს ჩართულობა გლობალურ მიგრაციულ პროცესებში საგრძნობლად გაიზარდა. მიგრაციის გამომწვევი მიზეზები კომპლექსურია და უკავშირდება როგორც ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ ფაქტორებს, ისე ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებს. პოსტსაბჭოთა საქართველოში შრომითი მიგრაციის ტალღის საწყის ეტაპზე საგრძნობლად მაღალი იყო მამაკაცების მიგრაცია, 2010 წლიდან კი შეინიშნება შრომითი მიგრაციული ნაკადების გენდერული ასპექტების თანდათანობითი ცვლილება. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ შრომითი მიგრაციის არარეგულარული ხასიათის გამო, ემიგრაციის შესახებ ზუსტი სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2019 წლის მონაცემებით, 40 წლამდე ასაკის ემიგრანტებში მამაკაცები სჭარბობენ ქალებს, ხოლო 50 წლისა და უფროსი ასაკის ემიგრანტი ქალების რაოდენობა აღემატება შესაბამისი ასაკის ემიგრანტი მამაკაცების რაოდენობას (საქსტატი, 2019ბ). აღსანიშნავია, რომ ეს მონაცემები ემთხვევა საქართველოში ქალების ეკონომიკურად არააქტიურობის დინამიკას. მაგალითად, 2018 წლის მონაცემებით, 55 წლის შემდეგ, ქალებში ეკონომიკური აქტიურობის დონე საგრძნობლად მცირდება (საქსტატი, 2019გ), რაც გულისხმობს იმას, რომ ადგილობრივ ბაზარზე მათი დასაქმება რთულია.

1. საერთაშორისო საზოგადოებაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა შემდეგ ტერმინებთან მიმართებით – არალეგალური და არარეგულარული მიგრანტები. უფლებადამცველები ტერმინ „არალეგალურს" დისკრიმინაციულად აფასებენ და ამტკიცებენ, რომ არ არსებობს არალეგალური მიგრანტი, არსებობს არალეგალური ქმედება, რომელიც შეიცავს კრიმინალურ ასპექტებს. ხოლო პირს, რომელსაც არ აქვს მიმღებ ქვეყანაში ყოფნის სამართლებრივი საფუძველი, განმარტავენ როგორც არარეგულარულ მიგრანტს (Kostas, 2017).

მკვლევრებს შორის არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, თუ როგორ აისახება შრომითი მიგრაცია ქალების ცხოვრებაზე. არსებული დისკუსიების ერთი ნაწილი (structuralist) საუბრობს სტრუქტურულ გამოწვევებსა და არჩევანის შეზღუდულობაზე, ხოლო მეორე ნაწილი (agency) ყურადღებას ამახვილებს ინდივიდუალური გამოცდილებების ისეთ ასპექტებზე, როგორებიცაა თავისუფლება, დამოუკიდებლობა, თვითდაჯერებულობა, და მნიშვნელოვნად მიიჩნევს მათ სიღრმისეულ შესწავლას არა მხოლოდ ინდივიდუალურ, არამედ უფრო ფართო სოციალურ კონტექსტში, ოჯახისა და საზოგადოების დონეზე. ამასთანავე, მიგრაციის ფემინიზაციაზე მსჯელობისას, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს შრომითი მიგრაციის როლი საშინაო შრომის გარეთ გატანასა და მის კომოდიფიკაციაში (Kofman 2000; Parrenas, 2006; Zentgraf, 2002).

ბოლო წლების განმავლობაში, ასევე გაიზარდა დისკუსიები ქალთა გაძლიერებაზე (empowerment), როგორც მიგრაციის შედეგსა და ფემინიზაციის კვლევის ახალ მიმართულებაზე (Oishi, 2005). თუმცა, აღსანიშნავია, რომ გაძლიერებაზე მსჯელობისას ფემინისტების ერთი ნაწილი ძირითადად ქალთა ეკონომიკურ დამოუკიდებლობას უსვამს ხაზს, მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ აუცილებელია გენდერული უთანასწორობის გამომწვევი საფუძველმდებარე მიზეზების (root causes) წარმოჩენა და აღმოფხვრა.

საქართველოში მიგრაციის ფემინიზაციის კვლევა ეპიზოდური ხასიათისაა და მწირი რესურსებით ხორციელდება. აღსანიშნავია ისიც, რომ შრომითი მიგრაციის არარეგულარული ხასიათის გამო, ემიგრაციის შესახებ ზუსტი სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს. არსებულ კვლევებში კი ყურადღება ძირითადად გამახვილებულია მიგრაციის გამომწვევ მიზეზებზე, ადგილსამყოფელ ქვეყნებში ემიგრანტი ქალების გამოწვევებზე, სამშობლოში დარჩენილი შვილების თვითრეალიზაციასა და დაბრუნების შემდგომ ემიგრანტების რეინტეგრაციის სირთულეებზე (Gassmann et al., 2013; OECD, 2017; Zurabishvili & Zurabishvili, 2010; Vanore, 2015; კაპანაძე, 2018). მიგრაციის ფემინიზაციაზე მსჯელობისას, ასევე, მნიშვნელოვანია მიგრაციისა და გენდერული როლების ანალიზი. ამ მიმართულებით არსებული კვლევები (Hofmann, 2014; Torosyan et al., 2016) ძირითადად რაოდენობრივ მონაცემებს ეყრდნობა, რომლებიც კომპლექსურად არ განიხილავს არსებულ სტრუქტურულ მოცემულობას და, ამასთანავე, შეზღუდულად წარმოაჩენს საშინაო შრომის კომოდიფიკაციის შედეგებს.

აკადემიური თვალსაზრისით, ეს კვლევა მიზნად ისახავს, თვისებრივი მეთოდის გამოყენებით შეავსოს ეს დანაკლისი და ფემინისტური პერსპექტივებიდან სიღრმისეულად გააანალიზოს საქართველოში დაბრუნებული ემიგრანტი ქალების მიგრაციის გამოცდილებები. შესაბამისად, კვლევა წარმოაჩენს ქალის არა მხოლოდ ეკონომიკურ როლს, არამედ აჩვენებს მას, როგორც სოციალურ აქტორს, რომელსაც აქვს ღრმად გამჯდარი ნორმები, როლები და შესაბამისი პასუხისმგებლობები. პრაქტიკული თვალსაზრისით კი, მომავალში ქალების გაძლიერებისა და მიგრაციის პოლიტიკის წარმოებისთვის, კვლევის შედეგების გათვალისწინება მნიშვნელოვანი იქნება.

# 2. კვლევის მიზანი და ამოცანები

ეს კვლევა ეხება შრომითი მიგრაციისა და გენდერის ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტების ანალიზს, როგორებიცაა ქალი და ოჯახი, ქალი და დასაქმება. კვლევის მიზანია, შეისწავლოს, როგორ აისახება სტრუქტურულად შეზღუდულ გარემოში შრომითი მიგრაციის გამოცდილება საქართველოში დაბრუნებული ემიგრანტი ქალების აუნაზღაურებელ სამუშაო შრომასა და ანაზღაურებად შრომით ურთიერთობებზე. კვლევის ამოცანებია:

ა. შეისწავლოს დაბრუნებული ემიგრანტი ქალების მიგრაციის გამოცდილების შედეგები და დაბრუნების შემდგომი სტრატეგიები;

ბ. გააანალიზოს, თუ როგორაა გადანაწილებული სახლის საქმეები საქართველოში დაბრუნებული ემიგრანტი ქალების ოჯახის წევრებს შორის;

გ. შეისწავლოს დაბრუნებული ემიგრანტი ქალების ქართულ შრომის ბაზარზე დასაქმების გენდერული ასპექტები.

ამ ამოცანების შესრულების მიზნით, კვლევა მიმოიხილავს ანაზღაურებადი და აუნაზღაურებელი შრომის ირგვლივ არსებულ სამეცნიერო დისკუსიებს და ემპირიული მონაცემების ანალიზის საფუძველზე, ფემინისტური პერსპექტივებიდან გამოიკვლევს, თუ როგორ აისახება ემიგრაცია დაბრუნებული ემიგრანტი ქალების გაძლიერებაზე.

# 3. მეთოდოლოგია

კვლევის პირველი ეტაპი დაეთმო ლიტერატურის მიმოხილვას, საკითხის სრულყოფილად გასაანალიზებლად შეგროვდა მეორადი მონაცემები (საქართველოში და მსოფლიოს მასშტაბით ჩატარებული რელევანტური კვლევები). შემდეგ ეტაპზე, დაბრუნებული ემიგრანტი ქალების თვალსაზრისისა და პერსონალური გამოცდილებების შესწავლის მიზნით, ჩატარდა ემპირიული კვლევა თვისებრივი კვლევითი მიდგომის გამოყენებით, კერძოდ, სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდით (Ritchie & Lewis, 2003).

შრომითი მიგრაციის შედეგების სიღრმისეულად დასანახად, ეს კვლევა შეისწავლის არა მხოლოდ დაბრუნების შემდგომ გამოცდილებებს, არამედ მიგრაციის სრულ ციკლს, ემიგრაციაში წასვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან – დაბრუნებული ემიგრანტის რეინტეგრაციის ჩათვლით. დაბრუნებული ემიგრანტი ქალების შერჩევისას გამოყენებულ იქნა არაალბათური, კერძოდ, მიზნობრივი შერჩევის მეთოდი. კვლევის მთავარი სამიზნე ჯგუფი იყო საქართველოში დაბრუნებული ემიგრანტი ქალები, რომლებიც ანაზღაურებადი საშინაო შრომის მიზნით, მინიმუმ 1 წელი იმყოფებოდნენ ემიგრაციაში2. ამასთანავე, გამომდინარე იქიდან, რომ კვლევა სწავლობს, თუ როგორ აისახება მიგრაციის შედეგები ოჯახში გენდერული როლების გადანაწილებაზე, ყველა დაბრუნებული ემიგრანტი ქალი ემიგრაციაში წასვლამდე და საქართველოში დაბრუნების დროსაც იმყოფებოდა ჰეტეროსექსუალურ ქორწინებაში. აქვე უნდა განიმარტოს, რომ დაბრუნებული ემიგრანტი ქალების ანაზღაურებად შრომის ბაზარზე დასაქმების გენდერული ასპექტების შესწავლის მიზნით, დასაქმების სტატუსი არ ყოფილა შერჩევის კრიტერიუმი. კვლევა მოიცავს როგორც უმუშევრებს, ისე თვითდასაქმებულებს, ფორმალურ და არაფორმალურ სექტორში დასაქმებულებს. სამიზნე ჯგუფში რესპონდენტები შეირჩა თოვლის გუნდის მეთოდის გამოყენებით, რომლის დროსაც ისინი თავად მონაწილეობდნენ კვლევის სხვა მონაწილეების იდენტიფიცირებაში.

კვლევის ფარგლებში ჩატარდა 10 სიღრმისეული ინტერვიუ დაბრუნებულ ემიგრანტ ქალებთან და 3 ექსპერტული ინტერვიუ. ყველა ინტერვიუ ჩატარდა ონლაინ, სკაიპის საშუალებით. რესპონდენტებიდან სამი იყო 30-44 წლის ასაკობრივი ჯგუფიდან, შვიდი კი – 50 წელზე უფროსი ასაკის. შვიდი მათგანი ცხოვრობდა ურბანულ დასახლებაში, სამი კი – სოფლად. კვლევაში მონაწილეებიდან სამს ჰქონდა უმაღლესი განათლება, შვიდს – საშუალო. ემიგრაციაში წასვლამდე შვიდი მათგანი არ მუშაობდა, საქართველოში დაბრუნების შემდეგ კი მხოლოდ ორს ჰქონდა ანაზღაურებადი სამუშაო ადგილი. კვლევის რვა მონაწილეს ჰყავდა სრულწლოვანი შვილები, 25-35 წლის ასაკობრივი ჯგუფიდან, ორს

2. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) განმარტებით, გრძელვადიანი მიგრანტი არის პირი, რომელიც მისი ჩვეული ბინადრობის ქვეყნიდან განსხვავებულ ქვეყანაში, სულ ცოტა, ერთი წლით მაინც მიემგზავრება.

კი – არასრულწლოვანი, 2-12 წლის ასაკობრივი ჯგუფიდან. რესპონდენტებიდან ხუთს ჰყავდა შვილიშვილ(ებ)ი.

სიღრმისეული ინტერვიუებისთვის გამოიყენებულ იქნა ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს გზამკვლევი, რომელმაც კვლევისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე გაამახვილა ყურადღება და, ამავდროულად, რესპონდენტებს საკუთარი გამოცდილებების თავისუფლად გადმოცემისა და მათთვის რელევანტური საკითხების გამოკვეთის საშუალება მისცა (Turner, 2010). სამიზნე ჯგუფების (დაბრუნებული ემიგრანტი ქალები და ექსპერტები) მიხედვით მომზადდა სხვადასხვა გზამკვლევი, რომლებმაც მოიცვა ემიგრაციაში წასვლის, იქ ყოფნისა და დაბრუნების შემდგომი პერიოდები. საოჯახო საქმეების გადანაწილების ფაქტორი ანალიზის მიზნით, გზამკვლევი ასევე მოიცავდა დროის გამოყენების ცხრილს.

# 4. ლიტერატურის მიმოხილვა

წინამდებარე თავი მიმოიხილავს იმ ძირითად ცნებებს, რომლებიც ანალიტიკური ჩარჩოს საფუძველია. პირველი ქვეთავი ანაზღაურებადი და აუნაზღაურებელი შრომის გენდერულ ასპექტებს ააშკარავებს. მეორე ქვეთავი ერთმანეთს უკავშირებს მიგრაციასა და გენდერს. ბოლო, მესამე ქვეთავი კი, მიმოიხილავს მიგრაციის შედეგების ირგვლივ არსებულ დისკუსიებსა და გაძლიერების თეორიულ საფუძვლებს, რომელიც დაბრუნებული ემიგრანტი ქალების მიგრაციის გამოცდილებების შეფასებისთვისაა საინტერესო.

## 4.1 ანაზღაურებადი და აუნაზღაურებელი შრომის გენდერული ასპექტები

### 4.1.1 ანაზღაურებადი შრომა

ანაზღაურებადი შრომის გენდერული ასპექტის ანალიზისას ორი განსხვავებული მიდგომა იკვეთება. ერთ შემთხვევაში, მკვლევრები საუბრობენ შრომის ბაზარში ჩართვასთან დაკავშირებით ქალის ინდივიდუალურ არჩევანზე, დამოკიდებულებებსა და პრიორიტეტებზე (Hakim, 2000; Fortin, 2005). მეორე შემთხვევაში კი ხაზს უსვამენ იმ კულტურულ, ინსტიტუციურ და სტრუქტურულ ფაქტორებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ქალის არჩევანზე (Folbre 1994; Jiffry, 2014).

ანაზღაურებადი შრომის ბაზრისთვის დამახასიათებელია ვერტიკალური და ჰორიზონტალური სეგრეგაცია. ფარგერის (Furger, 1998) მიხედვით, საზოგადოება და ოჯახი ადრეული ასაკიდან უბიძგებს ქალებს ტრადიციულად დაბალანაზღაურებადი, „ქალური“ სფეროებისკენ და ჩააგონებს, რომ ნაკლებად დაინტერესდნენ ტექნოლოგიებით, მათემატიკითა და მრეწველობით. შედეგად კი იქმნება სქესის ნიშნით სეგრეგირებული დასაქმების ადგილები (Elson & Pearson, 1981). ეს პროცესი განსაზღვრულია, როგორც შრომის ბაზრის ჰორიზონტალური (სექტორული) სეგრეგაცია, რაც დასაქმების კონკრეტულ სექტორში მხოლოდ ერთი სქესის სიჭარბეს აჩვენებს. საქართველოში საჯარო სექტორში დასაქმებული ქალების მიერ დომინირებული დასაქმების სექტორებია: განათლება, ჯანდაცვა, გაყიდვების და მზრუნველობის სფეროები. რაც შეეხება კაცების მიერ დომინირებულ დასაქმების სექტორებს, ასეთებია: მშენებლობა, სატრანსპორტო სფერო, მრეწველობა და სოფლის მეურნეობა (UNDP, 2013; UN Women, 2020). ვერტიკალური სეგრეგაცია კი გულისხმობს კონკრეტულ საქმიანობაში, სექტორსა თუ სამუშაო ადგილზე კარიერული წინსვლის შესაძლებლობების გენდერის მიხედვით შეზღუდვას და გამოხატულია ქალებისთვის ერთგვარი „შუშის ჭერის“ არსებობით (UN Women, 2020).

კაცების კარიერული გზა უფრო ხშირად სრულდება მმართველი პოზიციებით, ვიდრე ქალების (Bettio, 2002). გასათვალისწინებელია, რომ შვილის გაჩენისა და ოჯახზე ზრუნვის საჭიროებებიდან გამომდინარე, ქალებს უფრო ხშირად უწევთ განათლების მიღებისა და კარიერის შეწყვეტა, ვიდრე მამაკაცებს (Becker, 1957; Blau & Kahn, 2007). გარდა ამისა, დედის და ცოლის როლი, ჩვეულებრივ, ხელს უშლის ქალებს ზეგანაკვეთური შრომის შესრულებაში, მივლინებებში და ოჯახის ზრუნვისთვის საკმარისი მოქნილობის სამსახურის შერჩევისკენ უბიძგებს მათ (ibid.). კვლევები აჩვენებს, რომ დედობა ავტომატურად მოიაზრებს ბავშვის ზრუნვისა და საშინაო საქმეებისთვის ქალისთვის მეტი დროის საჭიროებას, რაც უარყოფითად აისახება დედების ეკონომიკურ აქტივობაზე. ამას ეწოდება „დედობის ჯარიმა“ (motherhood employment penalty) (Ferrant & Thim, 2019). ეს მსჯელობები აჩვენებს, რომ ანაზღაურებადი შრომა მჭიდროდ უკავშირდება საშინაო შრომას და პირიქით, ქალების საოჯახო პასუხისმგებლობები განსაზღვრავს მათი ანაზღაურებადი საქმიანობის ფორმას, ხანგრძლივობასა და შემოსავლის ოდენობას (Antonopoulos, 2009).

საქართველოში შრომის ბაზარი ხასიათდება როგორც ვერტიკალური, ასევე ჰორიზონტალური გენდერული სეგრეგაციით, რაც ფუნდამენტურ გავლენას ახდენს ქალისა და კაცის ანაზღაურებას შორის არსებულ უთანასწორობაზე (Bendeliani et al., 2014; UN Women, 2020). 2018 წლის მონაცემებით, საქართველოში გენდერული სახელფასო სხვაობა 35.8 პროცენტს შეადგენს. გასათვალისწინებელია, რომ როდესაც შეფასება ნამუშევარი საათების მიხედვით ხდება, საქართველოში ნედლი (შეუსწორებელი)3 გენდერული სახელფასო სხვაობა 17.9 პროცენტით არის განსაზღვრული. ეს განსხვავება ნედლ თვიურ და ნედლ საათობრივ გენდერულ სახელფასო სხვაობას შორის მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ქალები უფრო ნაკლებ დროს უთმობენ ანაზღაურებად სამუშაოს, ვიდრე კაცები (UN Women, 2020). თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ქალები უფრო ნაკლებს მუშაობენ, არამედ მეტყველებს მხოლოდ იმაზე, რომ ქალები ნაკლებს მუშაობენ ანაზღაურებად პოზიციებზე, რაც დიდწილად საშინაო შრომის გენდერული გადანაწილებითაცაა განპირობებული (UN Women, 2020). აღსანიშნავია, რომ ადამიანების ინდივიდუალური მახასიათებლების (განათლება, გამოცდილება, ასაკი და ა.შ.) გათვალისწინების შემთხვევაში, შესწორებული4 საათობრივი გენდერული სახელფასო სხვაობის მაჩვენებელი იზრდება და 24.8 პროცენტს შეადგენს. რაც აჩვენებს, რომ დასაქმებულ ქალებს შრომის ბაზრის უკეთესი მახასიათებლები აქვთ, ვიდრე კაცებს (UN Women, 2020).

3. „გენდერული სახელფასო სხვაობა, რომლის შესაფასებლად მამაკაცისა და ქალის ხელფასებს შორის რეალური განსხვავება გამოიყენება – ცნობილია, როგორც შეუსწორებელი ანუ ნედლი გენდერული სახელფასო სხვაობა“ (UN Women, 2020).

4. „შესწორებული გენდერული სახელფასო სხვაობა – მამაკაცებისა და ქალების საშუალო ხელფასებს შორის განსხვავება, რომელშიც გათვალისწინებულია მათი სხვადასხვა მახასიათებელი, კერძოდ, განათლება და სამუშაოსთან დაკავშირებული მთელი რიგი მახასიათებლები“ (UN Women, 2020).

### 4.1.2 აუნაზღაურებელი შრომა

ქალთა აუნაზღაურებელი შრომის შესახებ დისკუსიები ფართოდ გაიშალა 60-იანი წლებიდან, როდესაც ახლად აღმოცენებულმა ქალთა მოძრაობებმა ქალების მიერ სახლში შესრულებული საქმის სამუშაოდ აღიარება დაიწყეს. ისინი ხაზს უსვამდნენ სახლის საქმის შესრულებისთვის საჭირო დროს (კვირაში 60-80 საათი), რომელსაც ძირითადად ქალები ხარჯავდნენ და ის, რასაც კაცები აკეთებდნენ, ცოლების „დახმარებად" აღიქმებოდა (Delphy & Leonard, 1992). ტერმინი „აუნაზღაურებელი შრომა" მოიცავს შიდასამეურნეო საქმეს, სახლის საქმეს და საშინაო საქმეს. საშინაო საქმე, სახლში შესრულებულ საქმეებთან ერთად, სახლთან დაკავშირებულ აქტივობებსაც (მაგ. საყიდლები, ავადმყოფი ნათესავების მონახულება და ა.შ.) გულისხმობს (ibid.).

საშინაო შრომა ფემინისტური პერსპექტივებიდან განიხილება, როგორც ფართოდ გავრცელებული მანიპულაცია და ყველაზე უჩინარი ძალადობა, რომელიც კაპიტალიზმს ოდესმე განუხორციელებია მუშათა კლასის წინააღმდეგ (Federici, 1975). ჰარტმანის (Hartmann, 1979) მიხედვით, კაპიტალიზმისა და პატრიარქატის ურთიერთმორიგება ქალებისთვის „მოჯადოებულ" წრეს ქმნის, სადაც შრომის ბაზრის სეგრეგაციით გამოწვეული ქალების დაბალი ანაზღაურება საშინაო შრომის იერარქიულ გადანაწილებას იწვევს და პირიქით, საშინაო შრომის ამგვარი გადანაწილება სამუშაო ბაზარზე ქალების პოზიციებს ასუსტებს. მაღალი ეკონომიკური შემოსავალი ამ ვითარებაში დანახულია, როგორც „გარიგების ძალა" (bargaining power), რისი გამოყენებითაც კაცები საშინაო შრომაზე დახარჯული დროის შემცირებას ცდილობენ (Brittman et al., 2003).

საშინაო შრომა მზრუნველობით საქმიანობასაც მოიცავს, რომელიც, გარდა ფიზიკური დატვირთვისა, ემოციურ შრომასაც მოითხოვს. შესაბამისად, აუნაზღაურებელი ზრუნვის შრომა ფემინისტურ ლიტერატურაში განხილულია, როგორც „სიყვარულის შრომა" და „ემოციური შრომა" (Dowling, 2016; Hochschild, 1983), ხოლო მისი შესრულება ექსკლუზიურად მიეწერება ქალს, როგორც დედას, რომელსაც ზრუნვის ბუნებრივი უნარი აქვს (Delphy & Leonard, 1992; Hofman, 2014).

საშინაო შრომის არათანაბრად გადანაწილებასთან ერთად, მნიშვნელოვანია აუნაზღაურებლობა, როგორც მისი სპეციფიკური მახასიათებელი. ეკონომიკური პერსპექტივების მიხედვით, აუნაზღაურებლობა საშინაო შრომის არაპროდუქტიული ბუნებიდან გამომდინარეობს. კაპიტალისტური წარმოების წესების მიხედვით, ქალები აწარმოებენ „სახმარი ღირებულების" (use-value) და არა „საცვლელი ღირებულების" (exchange value) სამუშაოს. პროდუქტიულობის ამგვარი დეფინიცია არასწორად არის მიჩნეული რამდენიმე მიზეზის გამო. პირველი, ნედლ საკვებ მასალას სჭირდება სამუშაოს გაწევა, რომ გარდაიქმნას სამომხმარებლო პროდუქტად. გარდა ამისა, ის, რასაც ოჯახი მოიხმარს, შეიძლება გაიყიდოს ან ჩანაცვლდეს სხვა პროდუქტით. მეორე, იგივე შრომა ანაზღაურებადია მაშინ, როცა მას არა ცოლი, არამედ გარე დაქირავებული პირი ასრულებს (მაგ. ძიძა, დამლაგებელი და ა.შ.) (Delphy & Leonard, 1992). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახმარი ღირებულება არ გამორიცხავს საცვლელ ღირებულებას. თუ ადამიანებს უნდათ რამის გაცვლა (ყიდვა), ის მათთვის სარგებლიანიც (სახმარი ღირებულების) უნდა იყოს. შესაბამისად, ფემინისტური პერსპექტივებიდან, წა-

რმოება მოიცავს ყველა იმ საქონელსა და მომსახურებას, რომელიც სოციალურად სასარგებლოა და რომელიც ზრდის სიმდიდრეს ან ღირებულებას (დელფი & ლეონარდი, 2016).

ეს კვლევა სცდება საშინაო შრომის მხოლოდ ეკონომიკურ პერსპექტივებს და იზიარებს ფედერიჩის (1975) განმარტებას, რომლის მიხედვითაც საშინაო შრომის ანაზღაურების მოთხოვნას პოლიტიკური და სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. ის აზუსტებს, რომ ეს არ გულისხმობს უბრალოდ მეტ ფულს ქალებისთვის, არამედ – მეტ სოციალურ ძალაუფლებას (ibid.).

ემპირიული კვლევები აჩვენებს, რომ საშინაო შრომის აუნაზღაურებლობა გენდერული ძალაუფრებრივი ურთიერთობების პირობებში იქმნება. საქართველოში ჩატარებული კვლევების მიხედვით, საშინაო შრომა ძირითადად „კაცურ“ (ნივთების შეკეთება, საჭმლის ყიდვა და გადასახადების გადახდა) და „ქალურ“ (გარეცხვა, სახლის დალაგება, საჭმლის მომზადება, ბავშვების და მოხუცების მოვლა) საქმეებად არის დაყოფილი. აღსანიშნავია, რომ მსგავსი გენდერული სეგრეგაცია აღქმულია როგორც ბუნებრივი პროცესი და უთანასწორობა გაცნობიერებული არ არის. კერძოდ, კაცების 86% და ქალების 72% კმაყოფილია საოჯახო საქმეების ამგვარი გადანაწილებით (UNFPA, 2014). უმუშევარი ქალები მიუთითებენ, რომ ზემოთ აღნიშნულ საშინაო შრომაში კვირაში 47 საათი ეხარჯებათ. ეს მაჩვენებელი 42 საათით არის განსაზღვრული ანაზღაურებადი სამუშაოთი დასაქმებული ქალების მიერ. კაცები კი საშინაო საქმეებს მხოლოდ 15 საათს უთმობენ (UN Women, 2018). საშინაო შრომის არათანაბარი გადანაწილება ქალთა ეკონომიკური არააქტიურობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. საქართველოში გამოკითხული ქალების 49% უმუშევრობის მიზეზად საოჯახო საქმეს და სხვა პირად ვალდებულებებს ასახელებს (ibid.), რაც კიდევ ერთხელ ააშკარავებს ქალების ანაზღაურებად და აუნაზღაურებელ შრომას შორის ურთიერთკავშირს (Antonopoulos, 2009).

## 4.2 შრომითი მიგრაცია და გენდერი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ (4.1), აუნაზღაურებელი საშინაო შრომის არათანაბარი გადანაწილება უარყოფითად აისახება ქალების ეკონომიკურ აქტივობაზე და პირიქით, ანაზღაურებად შრომაში არსებული გენდერული უთანასწორობა იწვევს საშინაო შრომის სეგრეგაციულ გადანაწილებას (Antonopoulos, 2009; ILO, 2018). საერთაშორისო შრომითმა მიგრაციამ კი, ერთი შეხედვით, ეს წრე გაარღვია – ქალებმა ოჯახის მარჩენლის როლები მოირგეს და, ამასთანავე, საშინაო შრომის გარეთ გატანით, მიეცათ ანაზღაურების მიღების შესაძლებლობა იმ საქმეში, რასაც მანამდე თავიანთი ოჯახის წევრებისთვის აუნაზღაურებლად ასრულებდნენ.

საერთაშორისო შრომითი მიგრაციის კლასიკური თეორიები მიგრაციის გენდერულ ასპექტებს არ ითვალისწინებს (Hondagneu-Sotelo & Cranford, 2006). ეს მიდგომა იცვლება 80-იანი წლების ბოლოდან, როდესაც ემიგრაციაში წასვლის შესახებ გადაწყვეტილება და მიგრაციის შემდგომი გამოცდილება დაუკავშირდა ოჯახში, დასაქმების ბაზარსა და კულტურაში არსებულ გენდერულ უთანასწორობას (Morokvasic, 1984).

ფემინისტი მკვლევრები საერთაშორისო მიგრაციულ პროცესებში ქალების მონაწილეობას განსაზღვრავენ, როგორც რეპროდუქციული შრომის ტრანსნაციონალურ მოძრაობას, სადაც რეპროდუქციული შრომა განიმარტება, როგორც ბავშვებსა და ოჯახის სხვა წევრებზე ზრუნვა და, ასევე, სახლის სხვა საქმეების შესრულება (Zimmerman, Litt & Bose, 2006). პერენასის (Parrenas, 2006) თანახმად, საერთაშორისო შრომითი მიგრაციის მთლიანი პროცესი გენდერის საკითხების ირგვლივ ტრიალებს, რომელსაც კლასობრივი, რასობრივი და ეთნიკური განზომილებები აქვს და თავად ქალებს შორის არსებულ იერარქიულობას ააშკარავებს. პრივილეგირებული ქალები გლობალური ჩრდილოეთიდან მხოლოდ იმის წყალობით ახერხებენ მუშაობას, რომ შიდა სამეურნეო საქმის შესასრულებლად დაქირავებული ჰყავთ ნაკლებად პრივილეგირებული ქალები შედარებით ღარიბი ქვეყნებიდან. ამ ურთიერთდამოკიდებულებას მან რეპროდუქციული შრომის საერთაშორისო განაწილება უწოდა (ibid.).

გლობალურ დონეზე არსებულ სოციალურ უთანასწორობას ასევე ააშკარავებს მიგრაციისა და გენდერის შესახებ ლიტერატურაში დამკვიდრებული ტერმინი „ზრუნვის ჯაჭვი“ (care chain). ჰოუკშილდის (Hochschild, 2000) მიხედვით, ემიგრანტი ქალები სამშობლოში ტოვებენ თავიანთ მზრუნველობით პასუხისმგებლობებს და ემიგრაციაში სხვისი ოჯახების შვილებსა თუ მოხუცებზე ზრუნვით საქმდებიან. ავტორი ამტკიცებს, რომ ამ ზრუნვის ჯაჭვის სათავეში არიან შეძლებული ოჯახები გლობალური ჩრდილოეთის ქვეყნებიდან, რომლებსაც ზრუნვის „ყიდვის“ პრივილეგია აქვთ. შედეგად კი, ტვინების გადინებასთან (brain drain) ერთად, გლობალური სამხრეთის ქვეყნებიდან ზრუნვის გადინებაც (chain drain) ხდება, რაც ამ ქვეყნებში იწვევს ზრუნვის დეფიციტს, რომელიც ფიზიკურთან ერთად ემოციურ ზრუნვასაც მოიცავს (Lutz & Mollenbeck, 2012; Hochschild, 2000).

საქართველოში ჩატარებული კვლევები აჩვენებს ზრუნვის გადინების უარყოფით გავლენას სამშობლოში დარჩენილი შვილების სოციალიზაციისა და რეალიზაციის პროცესებზე (Vanore, 2015; კაპანაძე, 2018). დედის ემიგრაცია, ერთი მხრივ, აუმჯობესებს შვილების განათლების მიღებისა და მატერიალური კეთილდღეობის შესაძლებლობებს, მეორე მხრივ კი, დედობრივი სითბოსა და სიყვარულის დეფიციტი ბავშვებში იწვევს სტრესს, ავითარებს კომპლექსებს, დაბალ თვითშეფასებას და ქმნის მარტოობის განცდას (კაპანაძე, 2018). მიგრაციის შედეგად, ქალები, რომლებმაც სამშობლოში დატოვეს შვილები, გახდნენ ტრანსნაციონალური დედები, რომლებისთვისაც შვილებზე ფიზიკური და ემოციური ზრუნვის გამოხატვის საშუალებად ფულადი გზავნილები იქცა (Zontini, 2004).

## 4.3 შრომითი მიგრაციის შედეგები

შრომითი მიგრაციის შედეგების ირგვლივ არსებული დისკუსიები აჩვენებს, რომ ემიგრაციის შედეგად მორგებულ ახალ როლებს (ოჯახის მარჩენალი, დისტანციური დედა და სხვა) და თანმხლებ წინააღმდეგობებს (ეთნიკური და გენდერული დისკრიმინაცია, რთული სამუშაო პირობები, დაბალი ანაზღაურება, ეკონომიკური უთანასწორობა და სხვა) სხვადასხვა შედეგი აქვს ემიგრანტი ქალების ცხოვრებაზე (Yamanaka & Piper, 2005).

საქართველოში ჩატარებული კვლევების საფუძველზე, მკვლევართა ნაწილი შრომით მიგრაციას გენდერული თანასწორობის და ქალთა გაძლიერების გზად ხედავს. ამასთან ერთად, ისინი საუბრობენ შრომის ხასიათით და სტრუქტურული დაბრკოლებებით გამოწვეულ შეზღუდვებზე (Hofmann, 2014; Hofmann & Buckley, 2013), ზოგიერთი მათგანი კი შრომით მიგრაციას „საუკუნეობრივად ფორმულირებულ ჭეშმარიტ ფასეულობათა არაბუნებრივი ნგრევის პროცესად" აფასებს (ლობჟანიძე, 2009:126). ჭეშმარიტ ფასეულობებში მოიაზრება ქალის, როგორც დედის, ცოლისა და დიასახლისის როლი. რაოდენობრივმა კვლევებმა აჩვენა, რომ ქართველმა ქალებმა ემიგრაციაში წასვლით მოირგეს ოჯახის მარჩენლის როლები, რამაც ოჯახში გენდერული როლების ტრადიციული გადანაწილება შეცვალა (Hofmann, 2014; Torosyan et al., 2016). თვისებრივი კვლევის შედეგების მიხედვით კი, მიუხედავად იმისა, რომ ემიგრანტი ქალის, როგორც ოჯახის მარჩენლის როლი სოციალურად უფრო მეტად მიღებული გახდა, ქალის, როგორც ცოლის, დედისა და დიასახლისის კულტურული ფენომენი კვლავ ძლიერია.

მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას, რომ არსებული რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევები მიგრაციის ფემინიზაციის პროცესს თვალს ვიწრო პრიზმიდან ადევნებს და ქალების გაძლიერების მთავარ ბარიერად კულტურას წარმოაჩენს. ეს მიდგომა გენდერულ თანასწორობას, გარკვეულწილად, მოდერნიზაციისა და პროგრესის იგივეობად განიხილავს და მსოფლიოს „მაღალგანვითარებულ" და „ჩამორჩენილ" კულტურებად ყოფს (ჰარინგტონი, 2013). აღნიშნული დისკუსიები დამკვიდრებული ნორმების საფუძველმდებარე მიზეზებს შეზღუდულად წარმოაჩენს და ბევრ კითხვას პასუხგაუცემელს ტოვებს.

### 4.3.1 გაძლიერება

მიგრაციის ფემინიზაციასთან ერთად გაიზარდა დისკუსიები გაძლიერებაზე, როგორც მიგრაციის შედეგზე. ტერმინი „ქალთა გაძლიერება" (women empowerment) პირველად 1970-იან წლებში, ქალების თანასწორობისთვის მებრძოლმა ორგანიზაციებმა გამოიყენეს (Mosedale, 2005), თუმცა, განსაკუთრებით აქტუალური 1995 წლის პეკინის გაეროს მსოფლიო კონფერენციიდან გახდა, რომელიც ქალთა საკითხებს ეხებოდა.

გაძლიერების კონცეფცია ფართოდ არის გამოყენებული სხვადასხვა დისციპლინის მიერ და არ არსებობს მისი ზუსტი და შეთანხმებული განმარტება. ნაილა კაბირი ნიუანსურად მიმოიხილავს ქალთა გაძლიერების ირგვლივ არსებულ დისკუსიებს და გვთავაზობს გაძლიერების ყველაზე მრავლისმომცველ განმარტებას. კაბირის (1999:437) მიხედვით, ტერმინი „გაძლიერება" გულისხმობს ცვლილებების პროცესს, რომელიც ქმნის არჩევანის შესაძლებლობებს მათთვის, ვინც მანამდე ამას მოკლებული იყო. ის ამ პროცესს წარმოაჩენს, როგორც ძალაუფლების არქონიდან მის მოპოვებამდე განვლილ გზას, სადაც მნიშვნელოვანია არა მარტო ძალაუფლების ფლობა, არამედ ის, თუ რის მისაღწევად არის ის გამოყენებული (Tseun, 2007). მკვლევრები აღნიშნავენ, რომ საზოგადოებაში არსებული უდავო რწმენისა და ტრადიციების5 გათვალისწინებით, ხშირ შემთხვევაში, გენდერული უთანასწორობა და ალტერნატივების არსებობის შე-

5. ბურდიეს (1977) კონცეფცია სახელწოდებით „doxa."

საძლებლობები არ არის გაანალიზებული თავად ქალების მიერ (Kabeer, 1999; Mosedale, 2005). როულენდსის (Rowlands, 1997) მიხედვით, მნიშვნელოვანია, გაძლიერების შედეგად ქალმა გაიაზროს ის რთული სოციალური სიტუაცია, რომელშიც იმყოფება, მოიპოვოს ძალაუფლება და იმოქმედოს მის შესაცვლელად. ის საუბრობს შინაგანად წამოსულ ძალაუფლებაზე (power from within), რომელიც ქალის მხრიდან საკუთარი თავის პატივისცემაში, მიმღებლობასა და თავდაჯერებულობაში გამოიხატება (ibid.).

### 4.3.2 გაძლიერების შეფასება

დაბრუნებული ემიგრანტი ქალების მიგრაციის გამოცდილებების გასაანალიზებლად, კვლევა ეყრდნობა კაბირის (1999) გაძლიერების შეფასების ანალიტიკურ ჩარჩოს, რომელიც მოიცავს სამ ერთმანეთთან დაკავშირებულ პრინციპს: რესურსები (წინაპირობა), აგენტობა (პროცესი) და მიღწევები (შედეგები).

პირველი გულისხმობს არა მხოლოდ მატერიალურ და ფიზიკურ, არამედ ადამიანურ და სოციალურ რესურსებსაც (ცოდნა, ურთიერთობები, სამომავლო მოთხოვნები და მოლოდინი), რომლებიც არჩევანის გაკეთების შესაძლებლობებს ზრდის. ბანგლადეშში ჩატარებული კვლევის მიხედვით, კაბირი გამოყოფს კოგნიტურ რესურსებს, რომლებიც სხვებთან ურთიერთობის და ცნობიერების ამაღლების შემდეგ იზრდება და ინდივიდს ალტერნატივების დანახვის შესაძლებლობას ანიჭებს. ასეთ რესურსებში ის მოიაზრებს არაფორმალურ შეხვედრებს, ტრენინგებსა და სხვა საგანმანათლებლო აქტივობებს. ასევე, კაბირი აღნიშნავს რესურსებზე წვდომის მნიშვნელობას და ამტკიცებს, რომ ხშირ შემთხვევაში ისინი უთანასწოროდ არის გადანაწილებული. მას მოჰყავს მაგალითი, რომ „თუკი ქალს ძირითადი წვდომა რესურსებზე აქვს, როგორც ოჯახის დამოკიდებულ წევრს, მაშინ მისი შესაძლებლობა, მიიღოს სტრატეგიული გადაწყვეტილება, შეზღუდულია“ (Kabeer, 2005:15).

კაბირი (1999) აგენტობას6 განმარტავს, როგორც ინდივიდუალური მიზნების განსაზღვრის და მათ მისაღწევად მოქმედების შესაძლებლობას. ის ასევე გამოხატავს ზემოთ ნახსენებ შინაგან ძალას (the power within), რომელიც მოიცავს ინდივიდუალური ქმედების მნიშვნელობას, მიზანსა და მოტივაციას. კაბირის მიხედვით, რესურსები და აგენტობა ერთად ქმნის შესაძლებლობებს, რომელიც ამარტია სენის (Sen, 1985) მიერ განსაზღვრულია, როგორც ადამიანების პოტენციალი, იცხოვრონ ისეთი ცხოვრებით, როგორიც მათ სურთ და, ამავე დროს, იყვნენ სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების აგენტები.

მიღწევები არის ინდივიდუალური ქმედების შედეგები, რომლებიც შეიძლება გამოხატული იყოს პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილებით, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებით, საკვების უსაფრთხოებით და სხვა პირადი მიზნების განხორციელებით. კაბირის მიხედვით, მიღწევა რომ გაძლიერებად შევაფასოთ, უნდა ვნახოთ, რამდენად იყო ქალის ქმედება დამკვიდრებული ძალაუფლებრივი სიტუაციისთვის გამოწვევა და შეიძლება თუ არა, რომ მიღწევას ამ ძალაუფლებრივი მდგომარეობის ტრანსფორმაცია მოჰყვეს. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ პრობლემურია კონკრეტული ცვლადის მიხედვით და-

6. Agency – ინდივიდუალური ქმედება.

დგენა, თუ რამდენად შეიცვალა არსებული ძალაუფლებრივი მდგომარეობა, გაძლიერების შესახებ არსებულ ლიტერატურაში მიღწევები სწორხაზოვნად განსაზღვრული არ არის.

არსებული დისკუსიიდან გამომდინარე, მიღწევების შეფასებისას, ეს კვლევა დაეყრდნობა მასში მონაწილე ქალების პირად დამოკიდებულებებს, თუ რას მიიჩნევენ ისინი მიგრაციული პროცესების მიღწევებად. ეს მიდგომა საშუალებას მოგვცემს, თავად ამ ქალების თვალით დავინახოთ გაძლიერების პროცესი და გავცდეთ საერთაშორისო სამთავრობო ელიტების მიერ შემოთავაზებულ „ქალთა საკითხებს“ (ჰარინგტონი, 2013).

# 5. მონაცემთა ანალიზი

## 5.1 ემიგრანტი ქალის როლი, სტატუსი და პასუხისმგებლობები

ჩატარებულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ ემიგრაციაში წასვლის ისტორიები განსხვავებულია, თუმცა მიზეზი ერთია – გამოუვალი ეკონომიკური მდგომარეობა, რომელიც გამოწვეულია როგორც უმუშევრობით და დაბალი ანაზღაურებით, ასევე უეცრად თავს დამტყდარი დიდი ხარჯით, ოჯახის წევრის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების ანდა ბანკიდან აღებული ვალების გამო. ემიგრაციაში წასვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას რესპონდენტები რთულ პროცესად აფასებენ და აღნიშნავენ როგორც ოჯახის წევრების, ასევე ემიგრაციაში მყოფი ნათესავებისა და ახლობლების მნიშვნელოვან როლს. ყველა რესპონდენტის შემთხვევაში გამოიკვეთა სოციალური ქსელების არსებობა – ერთი მხრივ, ისინი იყვნენ ქალების ემიგრაციაში წასვლის ინიციატორები და, მეორე მხრივ, აღსანიშნავია მათი დახმარება როგორც გამგზავრების ეტაპზე, ასევე ადგილსამყოფელ ქვეყანაში სამუშაოს პოვნასა და მარტივად ადაპტაციაში.

მიუხედავად იმისა, რომ ქალებმა საკუთარი სურვილით მიიღეს გადაწყვეტილება ემიგრაციაში წასვლის შესახებ, ეს არ ყოფილა ცალსახად თავისუფალი არჩევანი, არამედ ეს იყო ოჯახის ეკონომიკური გადარჩენის ერთადერთი სტრატეგია:

„სხვა გამოსავალი არ მქონდა, ჩემი შვილები აქ შიმშილით დაიხოცებოდნენ“[7].

„რომ არ წავსულიყავი, აქ ჩემს შვილებს საკუთარი სახლ-კარი არ ექნებოდათ“[8].

„მე თვითონ ძალიან სიღარიბეში გავიზარდე და არ მინდოდა, რომ ჩემს შვილს იგივე გზა გაევლო“[9].

წასვლის მიზეზებზე საუბრისას ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ კვლევაში მონაწილე ათივე დაბრუნებული ემიგრანტი ქალი, პირველ რიგში, საუბრობს როგორც დედა და აღნიშნავს, რომ მხოლოდ საკუთარი საჭიროე-

7. რესპონდენტი #5. 29.07.2020.
8. რესპონდენტი #9. 24.08.2020.
9. რესპონდენტი #4. 25.07.2020.

ბებისთვის ამ ნაბიჯს არ გადადგამდა. აქვე მნიშვნელოვანია ითქვას, რომ ემიგრაციაში წასვლამდე რესპონდენტებიდან შვიდი არ მუშაობდა, რაც კიდევ უფრო ართულებდა გადაწყვეტილების მიღების პროცესს, მაგრამ რადგანაც გლობალური შრომითი ბაზარი ძირითადად ქალებისთვის ქმნიდა ამ „შესაძლებლობას", სწორედ ისინი შეიქნენ იძულებულნი, დიასახლისობიდან ოჯახის მარჩენლები გამხდარიყვნენ. როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, ემიგრაციაში წასვლამდე მიმღებ ქვეყანაში დაფუძნების მოლოდინი ნაკლებად ჰქონდა და ოჯახთან განშორებას უყურებდა როგორც დროებითს:

„ვიცოდი, რომ იქ სასეირნოდ არ მივდიოდი, უნდა მემუშავა, დასახული მიზნებისთვის მიმეღწია და უკან მალევე დავბრუნებულიყავი"[10].

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ყველა რესპონდენტი ემიგრაციაში ყოფნის დროს ბავშვთან ან მოხუცთან ასრულებდა ზრუნვის შრომას. აღსანიშნავია, რომ ემიგრაციაში წასვლამდე საკუთარი ოჯახის წევრების მიმართ იმავე სამუშაოს შესრულება რესპონდენტებისთვის ყოველდღიურობა იყო, თუმცა ამ საქმეში ანაზღაურების მიღების შესაძლებლობა არასოდეს დაუნახავთ. ემიგრაციაში უცხო ოჯახისთვის იმავე საქმის შესრულებას კი, ეკონომიკური პერსპექტივების გათვალისწინებით, რესპონდენტები ტრადიციულ ანაზღაურებად სამუშაოდ აღიქვამდნენ. ეს ნათლად აჩვენებს, რომ შესრულებული სამუშაოს „სახმარი ღირებულება" არ გამორიცხავს „საცვლელ ღირებულებას." ემიგრანტი ქალების მაგალითი, სწორედ ეკონომიკური მხრიდან აჩვენებს საშინაო შრომის პროდუქტიულობას და ააშკარავებს „ქალური ღირსებების" ფულად ღირებულებებს (Federichi, 1975).

ჩვენი კვლევისთვის ასევე საინტერესო იყო, თუ როგორ ნაწილდებოდა ქალების ემიგრაციაში წასვლის შემდეგ მათ ოჯახებში საშინაო შრომის შესრულება. კვლევამ აჩვენა, რომ შვიდ შემთხვევაში დატოვებულ შვილებზე ზრუნვის პასუხისმგებლობები ბავშვების ბებიებს ჰქონდათ გადაბარებული, ორ შემთხვევაში, ასაკის გათვალისწინებით კი, გოგო შვილები თავად ასრულებდნენ საშინაო საქმეებს. ერთადერთ შემთხვევაში გამოიკვეთა მამის, როგორც ძირითადი მზრუნველის როლიც, თუმცა საყურადღებოა, რომ თავად რესპონდენტის მიერ ეს ცოლის „დახმარებად" იყო აღქმული:

„მე გამიმართლა, რომ ჩემი ქმარი ძალიან მედგა გვერდში, არ ფლანგავდა გამოგზავნილ ფულებს და ბავშვსაც ძალიან კარგად უვლიდა"[11].

აღსანიშნავია, რომ ვერც ტექნოლოგიურმა განვითარებამ, ვერც ქალების ემიგრაციაში წასვლამ, კაცები საშინაო შრომის შესრულებაში ვერ ჩართო. მართალია, ქალების შრომითმა მიგრაციამ გამოწვევის წინაშე დააყენა დამკვიდრებული შეხედულება, რომ საშინაო შრომის შესრულება ზოგადად ქალების ვალდებულებაა, თუმცა, ქალების ეს როლი ემიგრაციაში წასვლის შემდეგაც შე-

10. რესპონდენტი #10. 25.08.2020.

11. რესპონდენტი #6. 31.07.2020.

ნარჩუნდა. ისინი, უბრალოდ, იძულებულნი გახდნენ, ამ საქმიანობის ზოგიერთი ასპექტი ვირტუალურ სივრცეში გადაეტანათ:

„ჩემს შვილზე ყველა დეტალი ვიცოდი, რას ჭამდა, რას სვამდა, როდის იძინებდა. გაკვეთილებიც კი მოგვიმზადებია ერთად. რამდენჯერმე სახლში მარტო რომ მოუწია დარჩენა, მე სკაიპით ვიყავი მასთან ერთად. მისი დაბადების დღის მთელ პროცესს ონლაინ დავესწარი“[12].

რესპონდენტების ისტორიები აჩვენებს, რომ ემიგრაციაში წასვლით მათ არათუ შეუმსუბუქდათ საშინაო საქმეები, არამედ პირიქით, ორმაგი ზრუნვის შრომაში ჩაერთვნენ – ერთი, დისტანციურად საკუთარი ოჯახისთვის და მეორე, ფიზიკურად ადგილსამყოფელ ქვეყანაში. თუმცა, რესპონდენტების მიხედვით, ვირტუალური ურთიერთობა ვერ ცვლიდა ფიზიკური სიახლოვის ინტიმურობას. დისტანციურად ზრუნვა განსაკუთრებით აქტუალური იყო იმ დედებისთვის, რომელთა შვილები მცირე ასაკისანი იყვნენ (10 წლამდე).

შვილების „დატოვების“ გამო დანაშაულის შეგრძნებას განსაკუთრებით ის რესპონდენტები განიცდიან, რომელთა შვილებიც დედის ემიგრაციაში წასვლის დროს უფროსი ასაკისანი (10-12) იყვნენ. როგორც ერთ-ერთი რესპონდენტი ამ-ბობს:

„გარდატეხის ასაკში ჩემი შვილების გვერდით რომ ვყოფილიყავი, ალბათ, ასე ადრიანად, 15-16 წლის ასაკში არ დაოჯახდებოდნენ“[13].

აღსანიშნავია, რომ ეს ნარატივი „მიტოვების“ შესახებ თავად საზოგადოე-ბისგან მოდის. რესპონდენტები ემოციურად იხსენებენ ილია მეორის ქადაგე-ბას, რომელშიც მან ქალების უცხოეთში სამუშაოდ წასვლას „მანკიერი წესი“ უწოდა: „დედები ტოვებენ თავის ოჯახებს, მიდიან უცხოეთში და ქმარ-შვილი უპატრონოდ რჩება“[14]. საზოგადოება უწყვეტად „აკონტროლებს“ ემიგრაციაში წასული და ასევე დაბრუნებული ქალის ქცევას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ემიგრაციაში მყოფი ქალები საუბრობენ, რომ დისტანცია აცივებს ცოლ-ქმრის ურთიერთობებს, რაც ხშირად განქორწინებით ან ოჯახის ფორმალურად შენა-რჩუნებით სრულდება. ამ დროს კი, საზოგადოება ყურადღებას ამახვილებს ქა-ლის ბრალეულობაზე, მის დანაშაულზე, რომ წავიდა და ქმარ-შვილი დატოვა, მაშინ როცა კაცის მხრიდან ღალატი და გზავნილების „ფლანგვა“ დასაშვებად მიიჩნევა. შვილებთან განშორებით გამოწვეული ამ წუხილის გადასალახად კი დედები თავს იმით ინუგეშებდნენ, რომ მათი წასვლის მთავარი მიზეზი სწორედ დედობრივი პასუხისმგებლობები იყო. ემიგრაციაში ყოფნისას ქალები იძულე-ბულნი გახდნენ, დედობისთვის ახალი მნიშვნელობა მიენიჭებინათ, რომელიც დისტანციურად შესრულებადი იქნებოდა. ამის გამოხატულებად კი ფულადი გზავნილები იქცა, რომელიც შვილებისთვის უკეთესი მომავლის შექმნის გარა-ნტიას იძლეოდა.

12. რესპონდენტი #4. 25.07.2020.

13. რესპონდენტი #5. 29.07.2020.

14. დამატებითი ინფორმაცია აღნიშნულ ქადაგებაზე: ვებგვერდი

## 5.2 მიგრაცია და მისი შედეგები

### 5.2.1 რესურსები

მიგრაციის შედეგებზე საუბრისას, ყველა რესპონდენტმა მატერიალური რესურსი დაასახელა, როგორც მისი მნიშვნელოვანი დადებითი ასპექტი. თუმცა, აქ საგულისხმოა, თუ რამდენად მდგრადი იყო ეს რესურსები და რამდენად შეძლო ემიგრანტი ქალების ეკონომიკური გაძლიერება.

მიუხედავად იმისა, რომ მასპინძელი ქვეყნის შრომის ბაზრისთვის ემიგრანტები დაბალანაზღაურებად მუშაკებად ითვლებიან, რესპონდენტები თვლიან, რომ კარგი შემოსავალი ჰქონდათ. ინტერვიუებმა აჩვენა, რომ ემიგრანტი ქალები თავიანთი შემოსავლის ძირითად ნაწილს ოჯახებში აგზავნიდნენ და საკუთარი თავისთვის ყოველთვიურად მხოლოდ 30-50 ევროს იტოვებდნენ. მართალია, ისინი თავად განაგებდნენ, თუ როგორ დახარჯულიყო ემიგრაციით მიღებული შემოსავალი, მაგრამ ამას მხოლოდ ტექნიკური ხასიათი ჰქონდა, რამდენადაც ის ოჯახის სურვილებსა და საჭიროებებზე იყო მორგებული. გამოგზავნილი თანხა ძირითადად გათვლილი იყო ოჯახების ყოველდღიურ საჭიროებებზე, განათლებაზე, ჯანმრთელობასა და ბანკის სესხებზე, რაც კიდევ უფრო ახანგრძლივებდა ემიგრაციაში ყოფნას და ართულებდა მდგრადი რესურსების შექმნას. თუმცა, იმ ქალებმა, რომლებსაც „გაუმართლათ," რომელთა ქმრები საქართველოში მუშაობდნენ და, ამავდროულად, ცოლების გამოგზავნილ თანხებს „არ ფლანგავდნენ," მოახერხეს არსებული ვალების გადახდა, მანქანების და უძრავი ქონების შეძენა, რაც ოჯახებისთვის დამატებითი შემოსავლის წყარო გახდა. ამასთანავე, როგორც რესპონდენტებმა აღნიშნეს, „ოჯახის მარჩენლის" სტატუსზე მეტად, ემიგრანტი ქალების მდგომარეობას გამოხატავს შემდეგი ეპითეტები: „ფულის საბეჭდი მანქანა" და „მეწველი ძროხა." შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად სტაბილური შემოსავლის გაჩენისა, შრომითმა მიგრაციამ ვერ შეძლო ქალების ეკონომიკური გაძლიერება. როგორც კვლევაში მონაწილე ექსპერტები აფასებენ, ეკონომიკური გაძლიერება, პირველ რიგში, გულისხმობს თვითრეალიზებას, კარიერულ წინსვლასა და სოციალური სტატუსის ამაღლებას, რასაც კვლევაში მონაწილე საშინაო შრომის შემსრულებელი ემიგრანტი ქალები მოკლებულნი იყვნენ.

ამასთანავე, რესპონდენტები საუბრობენ ემიგრაციაში მათ მიერ შესრულებული სამუშაოს სპეციფიკურ მახასიათებლებზე. ის მიმდინარეობდა დახურულ, ოჯახურ გარემოში, რაც დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის ემოციურ კავშირს ქმნიდა და ამით სცდებოდა ტიპური შრომის ბაზრის ჩარჩოებს. რესპონდენტების თქმით, ფიზიკურად სამუშაო არ იყო რთულად შესასრულებელი, მაგრამ ემოციურად იყო ძალიან რთული, რამდენადაც მათ არ ჰქონდათ „საკუთარი ცხოვრება" და დამქირავებლის ყოველდღიურობით ცხოვრობდნენ. ისინი 24 საათის განმავლობაში დამქირავებელთან ერთად იყვნენ და, ზრუნვის სამუშაოს შესრულების პარალელურად, მათთან ერთად დადიოდნენ საყიდლებზე, სავახშმოდ თუ დასასვენებლად, რაც უდიდეს ემოციურ რესურსს მოითხოვდა. მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტების უმრავლესობა სამუშაო ადგილს სახლად აღიქვამდა, ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ზრუნვის შრომის გასაქონლება და მსგავსი დატვირთვით მისი შესრულება უარყოფით გავლენას ახდენს ქალებზე. ნებისმიერი სახის შრომის შესრულებისას ადამიანს სჭირდება დასვენება

და ძალების აღდგენა, რომ თავისი თავის კვლავწარმოება შეძლოს. დასვენების დღეების გარეშე ზრუნვის შრომის შესრულებისას კი, კვლევაში მონაწილე ქალები ვერ ახდენდნენ ემოციური რესურსების განახლებას, რასაც შედეგად ამ რესურსების ამოწურვა და მათი ემოციური გაღარიბება მოჰყვა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ემიგრაციის შედეგად შექმნილი სოციალური რესურსებიც. მართალია, ემიგრაციის სხვა ფორმებისგან განსხვავებით, კვლევაში მონაწილე ზრუნვის შრომის შემსრულებელ ემიგრანტ ქალებს ადგილობრივ საზოგადოებასთან ნაკლები კონტაქტი ჰქონდათ და სოციალურ ქსელებში ჯგუფებად მხოლოდ ქართველები ერთიანდებოდნენ, მაგრამ ეს ჯგუფები სხვადასხვა ასაკის, წარსულისა და სამუშაო გამოცდილების მქონე ემიგრანტებისგან შედგებოდა. ეს კი იმის თქმის საშუალებას გვაძლევს, რომ მათ ემიგრაციის გამოცდილებების შეფასება სხვადასხვა პრიზმიდან შეეძლოთ. რესპონდენტებისთვის ამ ჯგუფებს ხშირად მხარდამჭერის ფუნქცია ჰქონდათ, სადაც ინფორმაციის და გამოცდილებების გაზიარებით, მათ საკუთარი სიტუაციის ანალიზი და საერთო პრობლემებზე გამოსავლის ძიება შეეძლოთ. ეს გარკვეულწილად ქმნის კაბირის (2011) მიერ შესწავლილ ქომუნითი პრაქტიკას, იძენს კოგნიტური რესურსების მნიშვნელობას და, ასევე, ეხმიანება როულენდსის (1997) მიერ ნახსენებ გაძლიერების ინდივიდუალურ და კოლექტიურ ფორმებს. აღნიშნული სოციალური ქსელები დაბრუნების შემდეგაც ძალიან ღირებულად არის შეფასებული რესპონდენტების მიერ.

### 5.2.2 აგენტობა და მიღწევები

აღსანიშნავია, რომ კვლევაში მონაწილე დაბრუნებული ემიგრანტი ქალების აგენტობა პირველად მაშინ გამოვლინდა, როდესაც მათ ემიგრაციაში წასვლის შესახებ გადაწყვეტილება მიიღეს. ყველა არსებული გამოწვევის და  რისკის გათვალისწინებით, ეს გადაწყვეტილება ძალიან დიდ გამბედაობასა და ძალისხმევას მოითხოვდა. ამასთანავე, ინტერვიუებმა აჩვენა, რომ რესპონდენტებს გააზრებული ჰქონდათ თავიანთი ქმედების მნიშვნელობა, მიზანი და მოტივაცია – „ოჯახის გადარჩენა“ და „შვილებისთვის უკეთესი მომავლის შექმნა.“ მიუხედავად იმისა, რომ ემიგრაციაში წასვლა გარე ფაქტორების იძულებით მოხდა და ცალსახად თავისუფალი არჩევანი არ ყოფილა, ქალების გამბედაობა და მიზანდასახულობა დამკვიდრებული ძალაუფლებრივი სიტუაციისთვის გარკვეულწილად გამოწვევა და გაძლიერებისკენ წინ გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო.

ამასთანავე, აგენტობის შეფასებისთვის მნიშვნელოვანია, თუ როგორ იმართებოდა ზემოთ ნახსენები რესურსები. როგორც ვთქვით, რესპონდენტების ემიგრაციაში ყოფნის დროს ეკონომიკური რესურსები ძირითადად ოჯახის საჭიროებებზე იხარჯებოდა და ქალების ინდივიდუალური კეთილდღეობისთვის არ იყო გათვლილი. თუმცა, რამდენადაც ის რესპონდენტების მიერ თავიდანვე დასახული მიზნების მიღწევას ემსახურებოდა, მაინც წარმოაჩენდა მათ, როგორც აქტიურ აგენტს. რაც შეეხება ემოციურ რესურსებს, ინტერვიუებმა აჩვენა, რომ კვლევის მონაწილეები ემიგრაციაში ყოფნის დროს ძლიერ ემოციურ სტრესს განიცდიდნენ, რაც, ერთი მხრივ, გამოწვეული იყო შვილებთან განშორებით და, მეორე მხრივ, ანაზღაურებადი ზრუნვის შრომის შესრულებით.

„აქ, ქუჩაში ჩემი შვილების ტოლა ბავშვებს რომ ვხედავდი, ტირილს ვიწყებდი. ეს მონატრება იმ ბავშვზე გადამქონდა, ვისაც ვუვლიდი, მაგრამ თან ძალიან ვცდილობდი, რომ არ შემყვარებოდა და ეს ზრუნვა მხოლოდ სამსახურად აღმექვა, ვიცოდი, მერე დატოვება გამიჭირდებოდა“[15].

ემიგრანტმა ქალებმა ამ მონატრების გადალახვის ძალა, როგორც კაბირი (1999) ამბობს, „აგენტობის შეგრძნება“ (sense of agency) შვილების უკეთესი მომავლის შექმნის იმედში იპოვეს.

როგორც შესავალში აღვნიშნეთ, მიღწევების განსაზღვრა ძალიან ინდივიდუალურია. კვლევაში მონაწილე დაბრუნებული ემიგრანტი ქალები მიღწევებზე საუბრისას გამოყოფენ თავიანთ საბოლოო მიზნებსა და ამოცანებს. ყველაზე ხშირად კი აღნიშნავენ, რომ მათი ემიგრაციის მთავარი მიღწევა „ოჯახის ფეხზე დაყენებაა,“ რომელიც გამოხატულია შემდეგი მახასიათებლებით: ღირსეული საცხოვრებელი პირობების შექმნა, საკვების ქონა, ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა, შვილებისთვის უმაღლესი განათლების მიცემა. ნათელია, რომ ნაცვლად ინდივიდუალური მიღწევებისა, ქალების მთავარი ფოკუსი არის ოჯახის გადარჩენასთან დაკავშირებულ (survival-related) მიღწევებზე, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში აფერხებს მიგრაციის შედეგების შენარჩუნებას და ვერ ცვლის მანამდე არსებულ ძალაუფლებრივ მდგომარეობას.

როგორც სენი (1985) განმარტავს, მიღწევები გაძლიერებად მაშინ შეიძლება შეფასდეს თუკი ამით ქალები ქმნიან ისეთ ცხოვრებას, როგორიც მათ სურთ. საქართველოს შრომის ბაზართან შედარებით უკეთესი ანაზღაურების მიღებით, ერთი შეხედვით, ქალებმა გაიძლიერეს ეკონომიკური მდგომარეობა, მაგრამ წლობით ოჯახიდან შორს, სხვა ოჯახის „მსახურად“ ყოფნა არ იყო ის ცხოვრება, რომლის შექმნისკენაც ისინი ყოველთვის ისწრაფვოდნენ.

## 5.3 დაბრუნება

### 5.3.1 ოჯახი

დაბრუნებაზე საუბრისას, კვლევაში მონაწილე ემიგრანტი ქალები აღნიშნავენ, რომ მათ გარშემო ეს ძალიან იშვიათად ხდება, რაც პირველ რიგში სამშობლოში არსებული მუდმივი ეკონომიკური პრობლემებითაა გამოწვეული. ამასთანავე, ემიგრანტი ქალების ოჯახები სრულად დამოკიდებულები ხდებიან ფულად გზავნილებზე. წლებთან ერთად კი ეს ოჯახები იზრდება და მათი საჭიროებიც მატულობს. ინტერვიუებმა აჩვენა, რომ დაბრუნებას აბრკოლებს ოჯახის წევრებთან გაუცხოებაც და მათი მხრიდან ემიგრანტი ქალის მიუღებლობა:

„ჩემი მეგობარი 25 წელი იყო საბერძნეთში და ყველაფერი გაუკეთა ოჯახს. 75 წლის ასაკში გადაწყვიტა დაბრუნება და შვილმა უთხრა – მოსავლელი რომ გახდი, მერე ჩამოდიო?! ადგა რამდენიმე თვეში და ისევ საბერძნეთში წავიდა“[16].

15. რესპონდენტი #5. 29.07.2020.

16. რესპონდენტი #9. 24.08.2020.

გარდა ამისა, როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, ხშირ შემთხვევაში ემიგრანტი ქალები ეგუებიან სამუშაო ადგილს, ადგილსამყოფელ ქვეყანას უკვე სახლად აღიქვამენ და სამშობლოში მხოლოდ მცირე ხნით ჩამოდიან. დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილება განსაკუთრებით რთულად მისაღებია მაშინ, როდესაც არ არსებობს დანაზოგი და გეგმა, თუ რა შეიძლება აკეთო საქართველოში. რესპონდენტების მიხედვით, ეს ძალიან ინდივიდუალურია და დამოკიდებულია არა მხოლოდ ემიგრანტ ქალზე, მის სურვილებზე და შესაძლებლობებზე, არამედ საქართველოში მყოფ ოჯახის წევრებზეც. ოჯახსა და შვილებთან ერთად ყოფნა არის კვლევაში მონაწილე ქალების დაბრუნების ძირითადი მიზეზი. ორ შემთხვევაში კი ეს გამოწვეული იყო ემიგრანტი ქალის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებით.

„წამოსვლა რომ გადავწყვიტე, სხვა ემიგრანტები მეუბნებოდნენ, იქ რა დაგრჩენიაო, მაგრამ მანჰეტენის და ოკეანის ხედებს, მირჩევნია, აქ დამპალოს სასაფლაოს ვუყურო სამზარეულოს ფანჯრიდან, მაგრამ ჩემს ოჯახთან ერთად ვიყო“[17].

„თუ ყოველთვის მეტი და მეტი გინდა, ვერასოდეს დაბრუნდები უკან. იქ 3000 დოლარზე ვმუშაობდი და ახლა 400 ლარზე ვმუშაობ, მაგრამ ტრაგედიას არ ვქმნი. ყოველ ღამე, ჩემი შვილის სუნთქვის მოსმენა ყველაფერს მირჩევნია“[18].

დაბრუნების შემდგომ არსებულ სირთულეებზე საუბრისას, რესპონდენტები პირველ რიგში ოჯახის წევრებთან ურთიერთობებს გამოყოფენ. თანაცხოვრებას გადაჩვეულები, ურთიერთობების თავიდან დაწყებას ცდილობენ, ეს კი განსაკუთრებით უჭირთ შვილებთან, რომლებიც დედების გარეშე გაიზარდნენ და რომლებიც ხშირ შემთხვევაში უკვე თავად არიან მშობლები.

„ჩემს შვილს ისევ ბავშვად აღვიქვამდი, მინდოდა საბანი გამესწორებინა, მოვფერებოდი, შენიშვნა მიმეცა, მაგრამ მისთვის ეს ყველაფერი ძალიან უცხო და უკვე უხერხულიც იყო“[19].

დაბრუნებამ შეცვალა ორივე მხარის, როგორც ემიგრანტი ქალის, ასევე მისი ოჯახის წევრების ყოველდღიური რუტინა, რამაც მათთვის არაკომფორტული პირობები შექმნა. ერთი მხრივ, რესპონდენტები ბუნებრივ პროცესად აფასებენ არსებულ გაუცხოებას, მეორე მხრივ კი, ძალიან დიდ გულისტკივილს გამოხატავენ და შეუძლებლად მიაჩნიათ ურთიერთობების იმ ფორმით აღდგენა, როგორიც წასვლამდე არსებობდა. ურთიერთობების აღდგენის სირთულეებზე საუბრისას, რესპონდენტებმა ხაზი გაუსვეს სამშობლოში დატოვებული შვილების ასაკის მნიშვნელობას და აღნიშნეს, რომ დაბრუნების შემდეგ „ყველაფრის თავიდან დაწყება“ მით უფრო მარტივია, რაც უფრო მცირე ასაკის არის ბავშვი:

17. რესპონდენტი #6. 31.07. 2020.
18. რესპონდენტი #9. 24.08.2020.
19. რესპონდენტი #5. 29.07.2020.

„მე გადავრჩი, რომ ჩემი შვილის გარდატეხის ასაკამდე მოვახერხე უკან დაბრუნება და ჯერ კიდევ მაქვს დრო, რომ მის აღზრდაში მივიღო მონაწილეობა“[20].

### 5.3.2 დასაქმება

დაბრუნების შემდეგ ქალებს უწევთ არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ სირთულეებთან შეჯახება. რესპონდენტებიდან მხოლოდ ორი, რომელთა ასაკი 40 წლამდე იყო, მუშაობდა მომსახურების სფეროში მცირე ანაზღაურების სანაცვლოდ. უმუშევრობის სხვადასხვა მიზეზი დასახელდა, ძირითადად კი ის დაკავშირებული იყო საშინაო საქმეების შესრულებასთან, დაბალ ანაზღაურებასთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასა და სამუშაო ადგილების არარსებობასთან. დაბრუნებული ემიგრანტი ქალი, რომლის დედაც უკვე მრავალი წელია ემიგრაციაში იმყოფება, ამბობს, რომ საქართველოში არსებული მინიმალური ანაზღაურების გამო შვილებს ვერ დატოვებს:

„დიასახლისი ვარ და ვუვლი ბავშვებს. მე იმდენად მაქვს მონატრებული საკუთარი დედის სითბო და სიყვარული, რომ მე ჩემს შვილებს ვერ დავტოვებ, ვერ წავალ და ვერ ვიმუშავებ აქ არსებული მინიმალური ანაზღაურების გამო. მეუღლე მუშაობს და დედა მეხმარება ემიგრაციიდან“[21].

მიუხედავად იმისა, კვლევაში მონაწილე დაბრუნებული ემიგრანტი ქალები დასაქმებულები არიან თუ არა, ათივე შემთხვევაში, ისინი ოჯახში აუნაზღაურებელი სამუშაოს შესრულებას იმავე დატვირთვით დაუბრუნდნენ, რა დატვირთვითაც წასვლამდე იყვნენ ჩართულნი. სამ შემთხვევაში, თუკი ეს მანამდე შვილების მიმართ ზრუნვაში გამოიხატებოდა, დაბრუნების შემდეგ ის შვილიშვილებზე ზრუნვამ ჩაანაცვლა.

საინტერესოა, რომ ყველა რესპონდენტი, ერთი მხრივ, ოჯახზე ზრუნვას ქალის უპირველეს მოვალეობად თვლის, მეორე მხრივ კი, მაღალი ანაზღაურების გამო უშვებს ამ მოვალეობების სხვებზე გადანაწილებას, თუმცა „სხვებში“ ნაკლებად მოიაზრებიან ქმრები. კითხვაზე, თუ როგორ იყო საშინაო საქმეები ადგილსამყოფელ ქვეყნებში გადანაწილებული, კვლევაში მონაწილე დაბრუნებული მიგრანტი ქალები ამბობენ, რომ იქ ქალები „არ იწუხებენ“ თავს სახლის საქმეებით და რომ მათ აქვთ სხვა ქალების, „მოსამსახურეების დაქირავების ფუფუნება.“ მეორე მხრივ კი, ძლიერი ქალის დახასიათებისას იყენებენ ისეთ ეპითეტებს, როგორებიცაა ერთგული, მზრუნველი, ოჯახისა და შვილებისთვის მომთმენი და ბევრ რამეზე თვალის დამხუჭავი, ენერგიული, მიზანსწრაფული და ა.შ. მზრუნველი ცოლი და დედა, როგორც ქალის უპირველესი მოვალეობა, ასევე კარგად ჩანს ერთ-ერთი რესპონდენტის მიერ ემიგრაციაში ყოფნის საკუთარი გამოცდილების შეფასებისას: „გმირობა“ და „თავგანწირვა ოჯახის კეთილდღეობისთვის.“ აღსანიშნავია, რომ ამ პროცესში ისინი ქმრებისგან მსგავს თა-

20. რესპონდენტი #4. 25.07.2020.

21. რესპონდენტი #5. 29.07.2020.

ვგანწირვას არ მოითხოვენ და მხოლოდ „გამართლებად“ თვლიან, თუკი ქმარი ბავშვის გაზრდაში იღებს მონაწილეობას.

ნათელია, რომ ემიგრაციამ ვერ გაარღვია ის „მოჯადოებული წრე“, რომელზეც ჰარტმანი (1979) საუბრობდა. ერთი მხრივ, ქალებს ურჩევნიათ, სახლში აუნაზღაურებელი შრომა შეასრულონ, ვიდრე შრომის ბაზარზე არსებული პირობებით დასაქმდნენ – რაც ექსპერტების მხრიდან შეფასებულია, როგორც „ისტორიული რეგრესი ფემინისტური მოძრაობისთვის“. მეორე მხრივ კი, ქართული შრომის ბაზარზე რეინტეგრაციის ხელისშემშლელ ფაქტორად გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია არც ერთ რესპონდენტს არ დაუსახელებია. ისინი საუბრობენ ისეთ ფაქტორებზე, როგორებიცაა მათი ასაკი, ნეპოტიზმი, ბიუროკრატიული სირთულეები, ზოგადად სამუშაო ადგილების ნაკლებობა და დაბალი ანაზღაურება. ხოლო ის, რომ მათი ყოველდღიურობა ძირითადად საშინაო საქმეებითაა მოცული, ბუნებრივი მოვლენადაა აღქმული. ეს დამოკიდებულებები ეხმიანება ლიტერატურის მიმოხილვაში მოყვანილ მსჯელობებს ბურდიეს (1977) კონცეფცია doxa-ს შესახებ, როდესაც გენდერული უთანასწორობები და ალტერნატივების არსებობის შესაძლებლობა არ არის გაანალიზებული თავად ქალების მიერ და აჩვენებს, რომ ემიგრაციის შედეგად საშინაო შრომის კომოდიფიკაცია არ აღმოჩნდა საკმარისი ზრუნვის შრომის გენდერული და ეკონომიკური ღირებულების გადასააზრებლად.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ემიგრაციაში ყოფნის დროს ყველა რესპონდენტი 24 საათის განმავლობაში საშინაო შრომის შესრულებაში იყო ჩართული და თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად ვერ განივითარა პროფესიული უნარ-ჩვევები, რამაც შეამცირა შრომის ბაზარზე მათი კონკურენტუნარიანობა. საქართველოში, საკუთარი ოჯახის გარეთ, ზრუნვის შრომის შესრულებით კი მხოლოდ მინიმალური ანაზღაურების მიღება არის შესაძლებელი. ამასთანავე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კვლევაში მონაწილე შვიდი დაბრუნებული ემიგრანტი ქალი 50 წელზე უფროსი ასაკისაა და მათთვის დაბრუნების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ჯანმრთელობის მდგომარეობა იყო. აღსანიშნავია, რომ ეს ორივე გარემოება მინიმუმამდე ამცირებს ქართულ შრომის ბაზარზე მათი დასაქმების შესაძლებლობებს.

# 6. დასკვნა

კვლევის მიზანი იყო, ქალთა შრომითი მიგრაციისა და გენდერული როლების ანალიზის საფუძველზე, შეესწავლა, თუ როგორ აისახება შრომითი მიგრაციის გამოცდილებები დაბრუნებული ემიგრანტი ქალების აუნაზღაურებელ სამუშაო შრომასა და ანაზღაურებად შრომით ურთიერთობებზე.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ქალთა შრომითი მიგრაცია ცალსახად თავისუფალი არჩევანი არ არის, არამედ ეს არის ოჯახის ეკონომიკური გადარჩენის ერთადერთი სტრატეგია. კვლევაში მონაწილე ქალები ემიგრაციაში წასვლას აფასებენ, როგორც მსხვერპლის გაღებას ოჯახის კეთილდღეობისთვის, რაც გამოხატულია პირად ცხოვრებაზე, კარიერაზე, ემოციურ და ფიზიკურ ჯანმრთელობაზე უარის თქმაში. შესაბამისად, მიგრაციის შედეგებზე საუბრისას, ისინი უფრო ხშირად იყენებენ სიტყვა „გმირს," ვიდრე „ძლიერს."

აღსანიშნავია, რომ რესპონდენტების შეფასებით, არარეგულარული შრომითი ემიგრაციისთვის დამახასიათებელ გამოწვევებსა და დაბრკოლებებთან ყოველდღიური გამკლავებით, მათი თვითშეფასება, დამოუკიდებლობა და ბრძოლისუნარიანობა გაიზარდა. „ამის შემდეგ მგონია, რომ ცხოვრებაში ყველაფერს შევძლებ"[22], – ეს ეხმიანება როულენდსის (1997) მსჯელობას შინაგანად წამოსულ ძალაუფლებაზე, რომელიც თვითდაჯერებულობასა და საკუთარი ძალების აღიარებაში გამოიხატა. რაც შეეხება გენდერული როლების აღქმას, შეიძლება ითქვას, რომ მასპინძელ ქვეყანაში ადგილობრივი ქალების გამოცდილებებზე დაკვირვებით, ემიგრანტმა ქალებმა გადაიაზრეს საკუთარი გენდერული როლები, თუმცა მაინც არ ან ვერ გადააბიჯეს დამკვიდრებულ წესრიგს და როგორც მიგრაციაში ყოფნის დროს, ასევე სამშობლოში დაბრუნების შემდეგაც ბეჯითად ასრულებენ ამ როლებს. შესაბამისად, კვლევაში მონაწილე დაბრუნებული ემიგრანტი ქალები წარმოჩნდნენ, როგორც ადაპტირებადი აგენტები, რომელთა გადაწყვეტილებებიც განსაზღვრული და ნაკარნახევია გაბატონებული გენდერული როლებით: ქალი, როგორც მზრუნველი ცოლი და დედა.

აღსანიშნავია, რომ ქალების ემიგრაციაში წასვლით გენდერული როლები მხოლოდ ცალმხრივად შეიცვალა. ქალებმა მოირგეს ოჯახის მარჩენლის როლები, მაგრამ სამშობლოში დარჩენილ კაცებს უმეტეს შემთხვევაში არ შეუთავსებიათ საშინაო შრომის შესრულება. რეპროდუქციული შრომის ამგვარი გადანაწილებით ემიგრანტი ქალების ოჯახებში შეიქმნა ზრუნვის დეფიციტი, მაშინ როდესაც მასპინძელ ქვეყნებს „პირველ სამყაროში" გაუჩნდათ დამატებითი ზრუნვის მიღების ფუფუნება (Parrenas, 2006).

კვლევამ აჩვენა, რომ რესპონდენტების ემიგრაციაში ყოფნის ყველაზე თვალსაჩინო შედეგი ფულადი გზავნილებია. ემიგრაციის შედეგად ქალებს ნამდვი-

22. რესპონდენტი #4. 25.07.2020.

ლად ჰქონდათ დათვლადი მიღწევები, მაგრამ, როგორც კაბირი ამბობს, გაძლიერების დროს მნიშვნელოვანია არა მარტო ძალაუფლების ფლობა, არამედ ის, თუ რის მისაღწევად არის ის გამოყენებული. კვლევაში მონაწილე დაბრუნებული ემიგრანტი ქალების შემთხვევაში, დიდი ძალისხმევის შედეგად მოპოვებული ეკონომიკური რესურსები ძირითადად გამოყენებული იყო არა ინდივიდუალური მიღწევებისა და პირადი საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის, არამედ ოჯახის კეთილდღეობისთვის, ქმრის, შვილებისა და შვილიშვილების უკეთესი ცხოვრებისთვის, რაც ქალების გაძლიერებად ვერ შეფასდება. ფულადმა გზავნილებმა, რა თქმა უნდა, კონკრეტულ ოჯახებში შეამცირა სიღარიბის დონე, მაგრამ ვერ უზრუნველყო ამ ოჯახების და, განსაკუთრებით, თავად ემიგრანტი ქალების მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება.

მიგრაცია დინამიკური პროცესია, სადაც ჩართულია როგორც გამგზავნი, ასევე მიმღები სახელმწიფოს ინდივიდები. ამ ჯაჭვის მთავარი რგოლი კი ემიგრანტი ქალია, რომელიც სამშობლოში მყოფი ოჯახისთვის ძირითადი ფინანსური გარანტია, მასპინძელი ოჯახისთვის კი – ზრუნვისა და სიყვარულის მთავარი მიმწოდებელი. კვლევაში მონაწილე დაბრუნებული ემიგრანტი ქალების მაგალითები საშინაო შრომის როგორც ეკონომიკურ, ასევე სოციალურ ღირებულებას აჩვენებს. თუმცა, საშინაო შრომის კომოდიფიკაცია დამკვიდრებული გენდერული როლების გადააზრებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა და ის „მოჯადოებული“ წრე, რომელიც კაპიტალიზმმა და პატრიარქატმა ქალების წინააღმდეგ შეკრა, კვლავ გაურღვეველი დარჩა (ჰარტმანი, 1979). ქალების, ამ შემთხვევაში, უკვე ორმაგი ზრუნვის შრომა ისევ უჩინარი და დაუფასებელია საზოგადოებისა და ოჯახის მხრიდან. კვლევაში მონაწილე ქალების ემიგრაციის გამოცდილებებმა აჩვენა, რომ ეკონომიკური დამოკიდებულება გენდერული უთანასწორობის საფუძველმდებარე მიზეზი არ არის. მიუხედავად იმისა, რომ ემიგრაციაში ქალების შემოსავალი გაცილებით მაღალი იყო სამშობლოში დარჩენილი კაცების შემოსავალზე, ქალებმა ოჯახში გარიგების ძალა (bargaining power) მაინც ვერ მოიპოვეს. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ემიგრანტი ქალები ისევ საწყის პოზიციებს დაუბრუნდნენ როგორც ოჯახში, ასევე სამსახურში. ამასთან, ორივე ფრონტზე სიტუაცია კიდევ უფრო გართულებული დახვდათ. მანამდე არსებულ გამოწვევებს ისიც დაემატა, რომ ემიგრაციამ პირადი ურთიერთობები გააცივა და, ასევე, შრომის ბაზარზე მათი კონკურენტუნარიანობა შეამცირა.

ბოლოს, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პოსტსაბჭოთა საქართველოში ემიგრანტი ქალები სახელმწიფოს უფუნქციობით გამოწვეულ კრიზისს გაუმკლავდნენ და თავის თავზე აიღეს ოჯახების კეთილდღეობის ფუნქცია. თუმცა, შრომით მიგრაციაზე და, განსაკუთრებით, მის ფემინიზაციაზე საუბრისას, მნიშვნელოვანია, დავინახოთ, რომ ეს არ არის მხოლოდ 90-იანი წლების შედეგი, არამედ მიმდინარე პროცესია, სადაც გაღარიბების მაღალი რისკის და, პარალელურად, გლობალურ ჩრდილოეთში იაფ მუშახელზე გაზრდილი მოთხოვნის გამო, ჩვენ, ყველანი პოტენციური ემიგრანტები ვართ.

# ბიბლიოგრაფია


- Antonopoulos, R. (2009). The unpaid care work – paid work connection. Working Paper No. 86. International Labour Office (ILO), Policy Integration and Statistics Department. Geneva. მოპოვებული: ვებგვერდი
- Asian Development Bank (ADB). (2018). Georgia Country Gender Assessment. DOI: http://dx.doi.org/10.22617/TCS189794-2
- Batliwala, S. (2007). Taking the power out of empowerment – An experiential account. Development in Practice, 17(4–5), 557–565.
- Becker, Gary S. (1957). The Economics of Discrimination. Chicago, Illinois: University of Chicago Press.
- Bettio, F. (2002) The Pros and Cons of Occupational Gender Segregation in Europe, Canadian Public Policy, University of Toronto Press. (28)1: 65-84.
- Bittman, M. , England, P. , Folbre, N. , Sayer, L. and Matheson, G. (2003) `When Does Gender Trump Money? Bargaining and Time in Household Work,' American Journal of Sociology 109(1): 186—214.
- Blau, F. D., & Kahn, L. M. (2003). Understanding International Differences in the Gender Pay Gap Journal of Labor Economics, (21) 1: 106–44.
- Bourdieu, P. (1977). Outline of a Theory of Practice. Cambridge: Cambridge University Press.
- Budig, Michelle J., and Paula England (2001). The Wage Penalty for Motherhood. American Sociological Review. (66) 2: 204–25.
- Buijs, G. (ed) (1993) Migrant Women, Oxford and Providence: Berg Publishers Limited.
- Cassarino, J. (2004). Theorising Return Migration: The Conceptual Approach to Return Migrants Revisited, International Journal on Multicultural Societies 6(2): 253-279.
- Caucasus Research Resource Centres (CRRC), (2007). Migration and Return in Georgia: Trends, Assessments, and Potential. A report submitted to the Danish Refugee Council by Caucasus Research Resource Centres, Tbilisi. მოპოვებული: ვებგვერდი
- Cerase, F. P. (1974). Expectations and reality: a case study of return migration from the United States to Southern Italy. International Migration Review 8 (2): 245–62
- Connell, Robert W. (1987) Gender and Power, Cambridge: Polity Press.
- Cornwall, A., & Rivas, A.M. (2016). Third World Quarterly From gender equality and "women's empowerment" to global justice: reclaiming a transformative agenda for gender and development reclaiming a transformative agenda for gender and development, 36(2), 396–415.
- De Haas, H. (2010). Migration and development: a theoretical perspective1. International migration review, 44(1), 227-264.
- Delphy, C., & Leonard, D. (1992). Housework, Household Work and Family Work. In Familiar exploitation: A new analysis of marriage in contemporary Western societies. Cambridge, Polity Press.
- Dowling, E. (2016). Love's Labour's Cost: The Political Economy of Intimacy. Verso. მოპოვებული: ვებგვერდი
- Elson, D., & Pearson, R. (1981). 'Nimble Fingers Make Cheap Workers': An Analysis of Women's Employment in Third World Export Manufacturing. Feminist Review, 7(1), 87–107.
- Enloe, C. (2014). Women's Labor is Never Cheap: Gendering Global Blue Jeans and Bankers. In Bananas, Beaches and Bases: Making Feminist Sense of International Politics. University of California Press pp. 250-304.
- Erickson, R.J. (2005). Why emotion work matters: sex, gender, and the division of household labor. Journal of Marriage and Family. (67) 2.
- European Training Foundation (ETF). (2018). Georgia – Education, Training and Employment Developments 2017. მოპოვებული ვებგვერდი.
- Federici, S. (1975). Wages Against Housework. Power of Women Collective and the FaDing Wall Press. მოპოვებული: ვებგვერდი

- Ferrant, G. & Thim, A. (2019). Measuring Women's Economic Empowerment: Time Use Data and Gender Inequality. OECD Development Policy Paper No. 16.
- Folbre, N. (1994). Who Pays for the Kids?. London: Routledge.
- Fortin, N. M. (2005). Gender Role Attitudes and the Labour-market Outcomes of Women across OECD Countries. Oxford Review of Economic Policy. (21)3: 416–38.
- Furger, R. (1998). Does Jane Compute? Preserving Our Daughters' Place in the Cyber Revolution. New York: Warner Books.
- Gassmann, F., Siegel, M., Vanore, M., & Waidler, J. (2013). The impact of migration on children left behind in Moldova. Unu-merit working papers; No. 043. Maastricht: Maastricht University.
- Ghosh,J. (2009). Migration and Gender Empowerment: Recent Trends and Emerging Issues. Human Development Research Paper, No. 4, United Nations Development Program, New York.
- Gilbertson, G. A. (1995). Women's Labor and Enclave Employment: The Case of Dominican and Colombian Women in New York City. International Migration Review, 29 (3), 657–670.
- Hakim, C. (2000). Work-lifestyle choices in the 21st century: preference theory. Oxford University Press, Oxford.
- Hartmann, H. (1979). Capitalism, Patriarchy and Job Segregation by Sex. In Eisenstein, Z. (ed.) Capitalist Patriarchy and the Case for Socialist Feminism, London: Monthly Press.
- Hochschild, A. R (1983). The managed heart. Commercialization of human feeling. Berkeley: University of California Press.
- Hochschild, A. R. (2000). Global Care Chains and Emotional Surplus Value. In On the Edge: Living with Global Capitalism, eds. A. Giddens, and W. Hutton, 130–46. London: Jonathan Cape.
- Hofmann, E.T & Buckley, C.J. (2013). Global Changes and Gendered Responses: The Feminization of Migration from Georgia. The International Migration Review, Vol. 47, No. 3. pp. 508-538. Sage Publications, Inc. on behalf of the Center for Migration Studies of NewYork, Inc. URL: https://www.jstor.org/stable/24542775
- Hofmann, E.T. (2014). Does Gender Ideology Matter in Migration? Evidence from the Republic of Georgia. International Journal of Sociology, 44(3), 23-41.
- Hondagneu-Sotelo P., & Cranford, C. (2006). Gender and Migration. In: Handbook of the Sociology of Gender. Handbooks of Sociology and Social Research. Springer, Boston, MA.
- Hugo, G .(2008). In and out of Australia: Rethinking Chinese and Indian skilled migration to Australia. Asian Population Studies 4(3): 267–291.
- International Labour Office (ILO). (2016ა). Migrant Domestic Workers: Promoting Occupational Safety and Health. მოპოვებული: ვებგვერდი.
- International Labour Office (ILO). (2016ბ). Decent Work For Migrant Domestic Workers: Moving the Agenda Forward. Tayah, M. Geneva, ISBN 978-92-2-131276-5
- International Labour Office (ILO). (2018). Care work and care jobs for the future of decent work. Geneva. ISBN: 978-92-2-131643-5
- International Organization for Migration (IOM). (2017). Economic Reintegration of Ethiopian Women Returned from the Middle East. International Migration-ში, vol. 55 (6). ISSN 0020-7985.
- Kabeer N. (1999). Resources, Agency, Achievements: Reflections on the Measurement of Women's Empowerment in Discussing women's empowerment – Theory and Practice. Sida Studies no. 3
- Kabeer, N. (2005). Gender Equality and Women' s empowerment. Gender and Development, 13(October), 2013–2020.
- Kabeer, N. (2015). Gender equality, the MDGs and the SDGs: Achievements, lessons and concerns. London School of Economics. მოპოვებული: ვებგვერდი
- Keiko, Y & Piper, N. 2005. Feminized Migration in East and Southeast Asia: Policies, Actions and Empowerment. UNRISD Occasional Paper, No 11, Geneva.
- King, R. (2012). Theories and typologies of migration: An overview and a primer. International Migration and Ethnic Relations, 12 (3), 1–48.
- Kofman, E (2000). Gender and International Migration in Europe: Employment, Welfare and Politics. London: Routledge, 2000.
- Kostas, S. (2017). Irregular vs. Illegal Immigration: Setting the Definitions. Institute of Ethnology SAS, 65(4), 420–426 doi: 10.26363/SN.2017.4.04
- Lips, H. M. (2012). The Gender Pay Gap: Challenging the Rationalizations. Perceived Equity, Discrimination and the Limits of Human Capital Models. Sex Roles, (68)3:169–85.
- Lutz, H. (2007). Migration and Domestic Work. Frankfurt: Goethe University.

- Lutz, H., & Palenga-Mollenbeck, E. (2012). Care Workers, Care Drain, and Care Chains: Reflection on Care, Migration, and Citizenship. Social Politics. (19)1.
- Menjívar, C., & Abrego, L. (2009). Parents and children across borders legal instability and intergenerational relations in Guatemalan and Salvadoran families. In Across Generations: Immigrant Families in America (pp. 160-189). New York University Press.
- Morokvasic, M. (1984). Birds of Passage are Also Women. International Migration Review, 18(4): 886- 907.
- Mosedale, S. (2005). Assessing women's empowerment: Towards a conceptual framework. Journal of International Development, 17(2), 243–257.
- Nawyn, S. J. (2010). Gender and Migration: Integrating Feminist Theory into Migration Studies. Sociology Compass 4/9, pp. 749-765.
- Odih, P. (2007). Gender and Gender and Work in Capitalist Economies. გამოცემა I. McGraw-Hill Professional Publishing. მოპოვებული ვებგვერდი.
- OECD. (2017). Migration and the labour market in Georgia, in Interrelations between Public Policies, Migration and Development in Georgia, OECD Publishing, Paris, https://doi.org/10.1787/9789264272217-8-en
- Oishi, N. (2005). Women in Motion: Globalization, State Policies, and Labor Migration in Asia. Stanford University Press, ISBN: 0804746389, 9780804746380
- Parrenas, R. S. (2006). Migrant Filipina Domestic Workers and the International Division of Reproductive Labor. In Zimmerman, M. K. Litt, J. S. & Bose, C. E. Global Dimensions of Gender and Carework (pp. 48-61). Stanford: 2006.
- Rai, S. M., Parpart, J., & Staudt, K. (2007, May). defining Empowerment, Measuring Survival. In Workshop on Empowerment: Obstacles, Flaws, Achievements. Ottowa: Carlton University.
- Ritchie, J., & Lewis, J. (2003). Qualitative Research Practice. A Guide for Social Science Students and Researchers. SAGE Publications.
- Rowlands, J. (1997). Questioning Empowerment: Working with women in Honduras. Oxfam, 181. https://doi.org/10.3362/9780855988364.000
- Schneider D. (2011). Market Earnings and Household Work: New Tests of Gender Performance Theory. Journal of Marriage and Family. 73:845–860.
- Sen, A.K. (1985). Commodities and Capabilities. Amsterdam: North Holland.
- Tharan, C.T. (2009). Gender, Migration and Social Change: The Return of Filipino Women Migrant Workers. Brighton: University of Sussex.
- Torosyan, K. Gerber, T.P. & Gonalons-Pons, P. (2016). Migration, Household Tasks, and Gender: Evidence from the Republic of Georgia. Int Migr Rev. 50 (2): 445-474.
- Tseun, K. Y. (2007). An Empowerment Approach to Female Migration: A Case Study of China's Manufacturing Industry. LSE International Development Working Papers, No.79.
- Turner, D. W. (2010). Qualitative Interview Design: A Practical Guide for Novice Investigators. The Qualitative Report, 15(3), 754-760.
- UN Women. (2018). Returning Home: Challenges and Opportunities for Women Migrant Workers in the Nepali Labor Market. მოპოვებული: ვებგვერდი
- UN Women. (2018). ქალთა დაბალი ეკონომიკური აქტიურობა და არაფორმალურ სექტორში ჩართულობა საქართველოში. მოპოვებული: ვებგვერდი
- UN Women. (2020). გენდერული სახელფასო სხვაობა და უთანასწორობა საქართველოს შრომის ბაზარზე. მოპოვებული: ვებგვერდი
- UNDP. (2013). საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში. მოპოვებული: ვებგვერდი
- UNDP. (2018). გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები. თბილისი: საქართველოს პარლამენტი.
- UNFPA. (2014). კაცები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში. მოპოვებულია: ვებ გვერდი
- UNHLP. (2016). Leave no one behind: A call to action for gender equality and women's economic empowerment. მოპოვებული: ვებგვერდი.
- UN-INSTRAW. (2007). Feminization of Migration. Working Paper 1. მოპოვებული: ვებგვერდი.
- Vanore, M. (2015). Family-Member Migration and the Psychosocial Health Outcomes of Children in Moldova and Georgia.

- World Bank. (2016). Georgia country gender assessment. Washington, D.C. მოპოვებული: ვებგვერდი
- World Bank. (2018). Personal remittances, received (% of GDP) – Georgia. მოპოვებული: ვებგვერდი
- Zentgraf, K. M. (2002). Immigration and Women's Empowerment: Salvadorans in Los Angeles. Gender and Society 16, # 5: 62-646.
- Zimmerman, M. K., Litt, J. S., & Bose, C. E. (2006). Globalisation and Multiple Crises of Care. In M.
- K. Zimmerman, J. S. Litt, & C. E. Bose, Global Dimensions of Gender and Carework (p. 13). Stanford.
- Zlotnik, H. (1993). The South-to-North Migration of Women,. International Migration Review 29(1):229-252.
- Zontini, E. (2004). Immigrant Women in Barcelona: Coping with the Consequences of Transnational Lives, Journal of Ethnic and Migration Studies 30(6):1113-1144.
- Zurabishvili T, Zurabishvili T. The Feminization of Labor Migration from Georgia: The Case of Tianeti. Laboratorium Russian Review Of Social Research. 2010;2(1):73–83.
- Zurabishvili, T., & Zurabishvili, T. (2010). The Feminization of Labor Migration from Georgia: The Case of Tianeti. 1. 73-83.
- ბენდელიანი, ნ., ტურკი, პ., ამაშუკელი, მ. და ხეჩუაშვილი, ლ. (2014). კვლევის ანგარიში
- „გენდერული დისკრიმინაცია შრომის ბაზარზე საქართველოში." სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი (CSS).
- დელფი, ქ. და ლეონარდი, დ. (2016). კვლავაც კაპიტალიზმის ნაწილი? მარქსისტულ-ფემინისტური პერსპექტივები ოჯახზე. თარგმანების კრებული (ს. ლაცაბიძის თარგმანი, გვ. 82-117). თბილისი: ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC).
- კაპანაძე, ლ. (2018). შრომითი მიგრაციის ფემინიზაციის გავლენა შვილების სოციალიზაციისა და რეალიზაციის პროცესებზე საქართველოში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო ნაშრომი.
- კონსტიტუციის 42-ე მუხლი. (2014). გენდერული დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში. მოპოვებული: ვებგვერდი
- ლობჟანიძე, მ. (2009). ახალგაზრდა ქალთა მიგრაცია და მისი გამომწვევი ფაქტორები საქართველოში (კახეთის რეგიონის მაგალითზე). ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2019ა). დემოგრაფია. მოპოვებული: ვებგვერდი სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2019ბ). ქალი და კაცი საქართველოში.
- მოპოვებული: ვებგვერდი
- სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2019გ). დასაქმება და უმუშევრობა. მოპოვებული: ვებ გვერდი
- ჰარინგტონი, ქ. (2013). Governmentality და ქალთა ტრანსნაციონალური მოძრაობების ძალაუფლება. თარგმანების კრებული (ა. ბერაიას თარგმანი, გვ. 133-149). თბილისი: ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC).